პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 273 (19415) ◆ ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დეპუტატ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება



მოსკოვი. 27 ნოემბერი. სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. სურათზე: კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

საქტეს-საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესიის განსახილველად გამოტანილია საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ამ სესიის მიერ მიღებულ კანონებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, მისი აწმყოსა და მომავლისათვის, თითოეული შრომითი კოლექტივისათვის, თითოეული საბჭოთა ოჯახისათვის. მომავალი 1986 წელი მარტოოდენ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი როდია. იგი დასაბამს მისცემს თვისებრივად ახალ ეტაპს საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში.

1986 წლის გეგმა ასახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გა- [illegible]

[illegible] სტროების, გაერთიანებებისა და საწარმოების პრაქტიკული მუშაობის გააქტიურების მიზნით, რათა მათ უზრუნველყონ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მოწინავე მიჯნებზე გასვლა.

1986 წლის გეგმის შემდეგი თავისებურებაა მისი ორიენტაცია მეურნეობრიობის ინტენსიურ მეთოდებზე პრაქტიკული გადასვლის განხორციელებისათვის. ეს ნაკარნახებია თვით ცხოვრებით, არცთუ მარტივი ვითარებით, რომელიც იქმნება შრომითსა და მატერიალურ რესურსებთან, ძირითადად ეკონომიკის ზრდის ექსტენსიური ფაქტორების ამოწურვასთან დაკავშირებით. გაისად უნდა მივაღწიოთ, რომ წარმოების მოცულობის მატება მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი რესურსდაზოგვის ხარჯზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკონომია ნამდვილად ხდება წარმოების მოცულობის მთელი მატების რესურსებით უზრუნველყოფის ძი- [illegible]

[illegible] ადამიანების დიდ კმაყოფილებას იწვევს. პარტიის სტრატეგიული კურსისადმი აქტიური მხარდაჭერა — სიტყვითა და საქმით მხარდაჭერა — ჩვენი ოპტიმიზმის, არჩეული გზის სისწორის, იმის რწმენის წყაროა, რომ დასახული აუცილებლად შესრულდება. (**ხანგრძლივი ტაში**).

როგორც მოგეხსენებათ, ამხანაგო დეპუტატებო, უკანასკნელ ხანს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ინტენსიური განვითარების რელსებზე ეკონომიკის გადაყვანის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის მართვის ეფექტიანობის გადიდება. ხორციელდება წესრიგის დამყარების, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის, უმკაცრესი ეკონომიის რეჟიმის განმტკიცების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული ღონისძიებანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, [illegible]

[illegible] გავაკეთოთ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მშენებლობის ყველა მიმართულებით, უწინარეს ყოვლისა იქ, სადაც ვითარება კვლავაც რთულია, ჩამორჩენის დაძლევა კი ნელა ხდება.

და ახლა, ხუთწლედის ფინიშზე, კარგად უნდა ვიმუშაოთ, რათა მომავალი წლიდან დავიწყოთ გუ- [illegible]

[illegible] ის უკეთესობისაკენ შემობრუნების არც ერთი შანსი. დღეს საკითხი უაღრესად მწვავედ და გარკვევით დგას: უნდა დავდგეთ ვიწრო ინტერესებზე მაღლა, შევიგნოთ ყველა სახელმწიფოს კოლექტიური პასუხისმგებლობა იმ საშიშროების წინაშე, ადამიანთა გაერთიანებას რომ ჩასაფრებია მე- [illegible]

[illegible] და შედეგებისათვის. უწინარეს ყოვლისა, ასეთი პასუხისმგებლობა — ხაზს ვუსვამ, პრივილეგია კი არა, პასუხისმგებლობა აკისრიათ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

თუ ამ პოზიციებიდან მივუდგებით საქმეს, მაშინ გასულ კვირას გამართული საბჭოთა კავშირ-ამე- [illegible]

[illegible]

მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

ხალხის კეთილდღეობა კომუნისტური პარტიის უზენაესი მიზანია. მშვიდობისა და სოციალური პროგრესის კურსით მტკიცედ და თანამიმდევრულად მიუძღვის იგი საბჭოეთს. სკკპ XXVII ყრილობისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების დღეებში ყველა საბჭოთა ადამიანის მისწრაფებაა საიმედო შრომით უზრუნველყონ პარტიის ლენინური პოლიტიკის მხარდაჭერა.

საქმიანი განწყობილებით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობით, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გზების კოლექტიური ძიებით გამოირჩევა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. 27 ნოემბერს მან მუშაობა განაგრძო კრემლის დიდ სასახლეში პალატების გაერთიანებულ სხდომაზე.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, დ. ა. კუნაევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. მ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ბ. ნ. ელცინს, ლ. ნ. ზაიკოვს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. პ. ნიკონოვს.**

სხდომას უძღვებოდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ნ. ტოლკუნოვი.**

ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1985 წლის გეგმის შესრულების საკითხზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ნ. ვ. ტალიზინმა.**

ეროვნებათა საბჭომ და კავშირის საბჭომ, თქვა მან, ყოველმხრივ განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმა.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე დეპუტატთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმა შემუშავებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის დებულებებისა და მეთორმეტე ხუთწლედისათვის ძირითად მიმართულებათა პროექტში დასახული დავალებების საფუძველზე.

მუდმივი კომისიების მუშაობის შედეგების მიხედვით და გეგმის განხილვისას მიმდინარე სესიაზე წამოყენებულია კონკრეტული წინადადებანი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის ცალკეული დარგების განვითარების თაობაზე.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში, წინა წლებისაგან განსხვავებით, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მეურნეობრიობის ახალ [illegible]

[illegible] დი სახსრების, აგრეთვე ბანკის კრედიტების ხარჯზე.

დეპუტატებმა ფართოდ განიხილეს სოფლის მეურნეობის, აგროსამრეწველო კომპლექსის გადამამუშავებელი დარგების განვითარების საკითხები.

კომისიების დასკვნებსა და დეპუტატთა გამოსვლებში წამოყენებულია წინადადებანი დავამტკიცოთ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმა და ამით მივიღოთ კანონი ამ წლის გეგმის შესახებ.

დასასრულ ნ. ვ. ტალიზინმა გამოთქვა რწმენა, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები, საწარმოო კოლექტივები ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, გამოიჩენენ შემოქმედებითს მიდგომას. დიდ ორგანიზებულობას, შეასრულებენ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის დავალებებს, ახალ შრომითს წარმატებებს მოიპოვებენ მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს.

პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

გეგმით დადგენილია მატების ტემპი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით:

(მატება პროცენტობით 1985 წელთან შედარებით)

მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	3,8
მრეწველობის პროდუქცია — სულ	4,3
მათ შორის:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	4,1
მოხმარების საგნების წარმოება	4,9
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	4,1
მშენებლობაში	3,5
რკინიგზის ტრანსპორტზე	2,1
რეალური შემოსავალი ერთ სულ. მოსახლეზე	2,5

გათვალისწინებულია 1986 წელს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდეს 114 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სა- [illegible]

[illegible] რების ფონდის სწრაფად მზარ- [illegible]

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის პრეზიდენტისა და პირველი მდივნის, ზიმბაბვეს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის რობერტ გაბრიელ მუგაბეს სსრ კავშირში ვიზიტის გამო

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის პრეზიდენტი და პირველი მდივანი, ზიმბაბვეს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი რობერტ გაბრიელ მუგაბე პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურად საბჭოთა კავშირს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა ამა წლის დეკემბრის პირველ ნახევარში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 1985 წლის 26 ნოემბერს 84 წლისა გარდაიცვალა საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

თამარ ანდრიას ასული ყუფუნია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

შეიქმნა ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის თ. ა. ყუფუნიას დამკრძალავი კომისია, რომელშიც შევიდნენ: ო. გ. ვარძელაშვილი (თავმჯდომარე), ლ. ლ. ზაქაიძე, ი. თ. თოდუა, ი. ი. ქუტალია, ქ. დ. კიკალიშვილი, გ. დ. მგელაძე, ზ. ნ. მახარაძე, ვ. გ. მეუნარგია, ნ. გ. საკანია, ტ. ნ. ჩხაიძე.

თ. ა. ყუფუნიას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

დეპუტატ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთა შორისაც კი წარმოიშვა დაბნეულობა იმის გამო, რომ აშკარად უგულებელყოფენ მათი უშიშროების ინტერესებს, ვაშინგტონი მზად არის ყველაფერი გასწიროს სამხედრო უპირატესობის ქიმერას გამოდევნებულმა. თვით შეერთებულ შტატებში ამ კურსმა სერიოზული ეჭვი გამოიწვია. „ვარსკვლავეთის ომებისათვის" მზადების გეგმები კი განგაშის ნამდვილ სიგნალად გაისმა მთელ პლანეტაზე.

შეცდნენ ისინიც, ვინც ფიქრობდა, რომ მათი კონფრონტაციის გეზი განმსაზღვრელი გახდებოდა საერთაშორისო განვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით დავძენ, რომ ოცნება მსოფლიო ბატონობაზე იმთავითვე მანკიერია — იმაშიც, რაც მიზნებს ეხება, და იმაშიც, რაც საშუალებებს ეხება. ისევე, როგორც მარადიული ძრავის პროექტები წარმოშობს ბუნების ელემენტარული კანონების უცოდინარობას, იმპერიულ პრეტენზიებსაც წარმოშობს რეალური სინამდვილისაგან დაშორებული წარმოდგენები თანამედროვე სამყაროზე.

საბჭოთა კავშირი საკადრის პასუხს სცემდა სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობის დარღვევისათვის გამიზნულ ამერიკის შეერთებული შტატების გეზს და ამასთან აყენებდა დიდი მასშტაბის სამშვიდობო ინიციატივებს, იჩენდა თავშეკავებასა და კონსტრუქციულობას მშვიდობისა და უშიშროების ცენტრალური საკითხებისადმი მიდგომაში.

ჩვენი ინიციატივებით კი, ისინი არცთუ ისე ცოტაა, ცხადყავით, თუ რისთვის ვიღვწით მსოფლიო ასპარეზზე, რისთვის მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს. სსრ კავშირის ასეთი მოქმედება მხურვალედ მოიწონა მსოფლიოს საზოგადოებრიობამ, მას მაღალი შეფასება მისცეს ბევრი ქვეყნის მთავრობებმა.

ამ ფაქტორების გავლენით ვაშინგტონი იძულებული იყო მიემართა მანევრირებისათვის. ამერიკის ადმინისტრაციის განცხადებებში გაჩნდა დემონსტრაციული მშვიდობისმოყვარეობის ნოტები. მათ არ განამტკიცებდნენ საქმეებით, მაგრამ თვით მათი გაჩენა სიმპტომატური იყო.

წლის დამდეგს ჩვენი ინიციატივით მიღწეულ იქნა მორიგება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მოლაპარაკების შესახებ, მოლაპარაკებისა, რომელმაც უნდა მოიცვას ურთიერთკავშირით კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების მთელი კომპლექსი, მიზნად დაისახოს კოსმოსში გამალებული შეიარაღების დაუშვებლობა და დედამიწაზე მისი შეწყვეტა.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ატმოსფერო, ერთგვარად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო მოქმედებაც ნელ-ნელა იცვლებოდა, რაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ გაგვეთვალისწინებინა უმაღლესი დონის შეხვედრის შესაძლებლობის საკითხის განხილვისას.

ვიღებდით რა ასეთ გადაწყვეტილებას, ჩვენ მტკიცედ ვხელმძღვანელობდით იმით, რომ მოლაპარაკებაზე ცენტრალური ადგილი უნდა დაეკავებინა იმ საკითხებს, რომლებიც განსაზღვრავს ჩვენს ურთიერთობას და მთელ ვითარებას მსოფლიოში, — უშიშროების საკითხებს. ამასთან ვითვალისწინებდით პოლიტიკურ და სტრატეგიულ რეალობებს ევროპასა და მსოფლიოში, ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების აზრს, მრავალი ქვეყნის მთავრობებისა და საზოგადოებრივი წრეების პოზიციებს, მათ დაბეჯითებით თხოვნას საბჭოთა კავშირისადმი ყოველი ღონე ეხმარა, რათა უმაღლესი დონის შეხვედრა გამართულიყო. ჩვენ გვესმოდა, თუ რაოდენ დიდი იმედები უკავშირდებოდა ამ შეხვედრას მთელ მსოფლიოში, და გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, რათა გაგვეჯანსაღებინა საერთაშორისო კლიმატი, იგი უფრო სასიკეთო გაგვეხადა შეხვედრისათვის.

ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ ჟენევის მოლაპარაკებაზე წამოვაყენეთ კონკრეტული და რადიკალური წინადადებანი. რა არის მათი არსი?

ჩვენ შევთავაზეთ მეორე მხარეს უწინარეს ყოვლისა მთლიანად ავკრძალოთ დამკვრელი კოსმოსური შეიარაღება. შევთავაზეთ იმიტომ, რომ გამალებული შეიარაღების დაწყება კოსმოსში, დედამიწის ირგვლივ სივრცეში მარტო რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაც კი არავის უშიშროებას არ განამტკიცებს. კოსმოსური „ფარით" შენიღბული თავდასხმის ბირთვული საშუალებანი კიდევ უფრო საშიში გახდებიან.

დამკვრელი კოსმოსური საშუალებების გაჩენა ახლანდელ სტრატეგიულ ბალანსს გადააქცევს სტრატეგიულ ქაოსად, გამოიწვევს გამალებულ შეიარაღებას ყველა მიმართულებით, ძირს გამოუთხრის მისი შეზღუდვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს — რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ ხელშეკრულებას. ამის შედეგად უნდობლობა ქვეყნებს შორის გაიზრდება, უშიშროება კი მნიშვნელოვნად შემცირდება.

შემდეგ ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების სრულ აკრძალვასთან ერთად ნახევრად შემცირდეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ბირთვული საშუალება, რომლებსაც შეუძლიათ მიაღწიონ ერთმანეთის ტერიტორიას. ხოლო ამ საშუალებათა ბირთვული მუხტების საერთო რიცხვი კი თითოეულ მხარეს შემცირდეს 6 ათას ერთეულამდე. ეს რადიკალური შემცირებაა, რომელიც განიზომება ათასობით ბირთვული მუხტით.

ასეთი მიდგომა სამართლიანია. იგი მოიცავს ყველა საშუალებას, რომლებიც ქმნიან სტრატეგიულ ძალთა თანაფარდობას, საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ყოველი მხარისათვის რეალურად არსებული ბირთვული საფრთხის მოცულობა, იმის მიუხედავად, რით და საიდან მიაქვთ მათს ტერიტორიაზე ბირთვული მუხტები — რაკეტით თუ თვითმფრინავით, თავისი ტერიტორიიდან თუ მოკავშირეთა ტერიტორიიდან.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვულ საშუალებათა ორჯერ შემცირება ჩვენ დასაწყისად მიგვაჩნია. არც ამას დავჯერდებით — მზად ვართ ბირთვული იარაღის სრული მოსპობისთვისაც, რა თქმა უნდა, სხვა ბირთვული სახელმწიფოების მონაწილეობით.

გასაგებია, რომ გამალებული ბირთვული შეიარაღება განსაკუთრებით აწუხებთ ევროპის ხალხებს. ჩვენ კარგად გვესმის ეს წუხილი. ევროპა გაივსო ბირთვული საშუალებებით. საბჭოთა კავშირი საჭიროდ ცნობს მთლიანად განთავისუფლდეს ევროპა ბირთვული — როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური იარაღისაგან. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი პარტნიორები ამას არ თანხმდებიან. ამიტომ ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ დაგვეწყო თუნდაც შუალედური გადაწყვეტილებებით, და ამის მერე შევდგომოდით შემდგომ შემცირებას. დარწმუნებული ვართ, ჩვენი წინადადებები შეესაბამება ევროპის ხალხთა იმედებს, რომ დაცხრება ბირთვული საფრთხე, განმტკიცდება ევროპის უშიშროება.

მინდა ხაზი გავუსვა საქმის პრინციპულ მხარეს: მოლაპარაკების სამი მიმართულებით — კოსმოსის, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების, საშუალო სიშორის ბირთვული საშუალებების მხრივ — ჩვენ არაფერს ვთავაზობთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ისეთს, რაც მის უშიშროებას შეამცირებდა. უფრო მეტიც, ჩვენი წინადადებები შესაძლებლობას იძლევა გადაწყდეს აგრეთვე ისეთი საკითხები, რომლებსაც ამერიკის მხარე თავისი „განსაკუთრებული შეშფოთების" საგანს უწოდებს.

მაგალითად, ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებზე. ჩვენი წინადადებები ითვალისწინებს, რომ ასეთი რაკეტების რიცხვი შემცირდება, მათი ქობინების წილი ბირთვული მუხტების საერთო რაოდენობაში შეიზღუდება. ანდა, ავიღოთ, მეორე მაგალითი. დასავლეთში ერთი აურზაურია ატეხილი საბჭოთა სს-20 რაკეტების გამო. ჩვენ წინადადებას ვაყენებთ არსებითად შევამციროთ ეს რაკეტები ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებათა პრობლემის გადაჭრის კონტექსტით.

შებრკოლების ლოდად ასაღებენ ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვულ საშუალებებს. ამბობენ, მათი განხილვა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე არ შეიძლებაო. რახან ასეა, მზად ვართ აქაც ვეძებოთ გამოსავალი. ჩვენ წინადადებას ვაყენებთ დავიწყოთ ამ ქვეყნებთან უშუალო აზრთა გაზიარება მათი ბირთვული შეიარაღების თაობაზე.

საბჭოთა წინადადებებმა ფართო და პოზიტიური გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ამ წინადადებებს ზურგს უმაგრებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების ავტორიტეტი, სახელმწიფოებისა, ერთსულოვნად რომ დაუჭირეს მხარი ჩვენს კონსტრუქციულ პოზიციას. ჩვენს მიდგომას მრავალმხრივ ესატყვისება ექვსი ქვეყნის — არგენტინის, მექსიკის, ტანზანიის, ინდოეთის, შვეციისა და საბერძნეთის ხელმძღვანელთა ერთობლივი განცხადებებიც. მოწონებითა და იმედით აღიქვეს საბჭოთა ინიციატივა კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის მრავალრიცხოვანმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საქვეყნოდ ცნობილმა მეცნიერებმა, თვალსაჩინო პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწეებმა. მას დადებითად გამოეხმაურა სოციალისტური ინტერნაციონალის პარტიების უმრავლესობა.

არაფერს ვამბობ საბჭოთა და საზღვარგარეთელი მოქალაქეების ათასობით წერილზე, რომლებიც ჟენევის შეხვედრის წინ და თვით შეხვედრის დროს მოვიდა ჩემს სახელზე. მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და მადლობა მოვახსენო ამ წერილების ავტორებს კეთილი სურვილების, რჩევა-დარიგებისა და მხარდაჭერისათვის, მშვიდობის შესანარჩუნებლად ღრმა და გულწრფელი ზრუნვისათვის. (ტაში).

შეხვედრის წინ ამერიკელებმა წამოაყენეს თავიანთი კონტრწინადადებანი. თავისთავად ეს პოზიტიური ფაქტია. ჩვენს მრავალ ინიციატივათაგან ერთ-ერთმა სასიკეთო გამოხმაურება ჰპოვა.

ამ კონტრწინადადებათა არსის შესახებ ბევრს წერდა პრესა. აღარ მოვყვები მათი შინაარსის გამეორებას. ვიტყვი მხოლოდ ერთს: ეს ორჭოფული და მრავალმხრივ უსამართლო წინადადებებია. ისინი ცალმხრივ მიდგომას ეფუძნება და აშკარად ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთლიანად ნატოსათვის სამხედრო უპირატესობის მოპოვების მისწრაფებით არის ნაკარნახევი.

მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია არ ითვალისწინებს დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნის აკრძალვას. პირიქით, მისი შექმნის დაკანონებაც კი სწადიათ. პოზიცია, რომელსაც ამერიკის მხარე ადგას „ვარსკვლავეთის ომების" საკითხში, — ძირითადი დაბრკოლებაა შეიარაღებისადმი კონტროლის გზაზე შეთანხმებაში. და ეს მარტოოდენ ჩვენი აზრი არ არის. ეგრეთ წოდებულ „სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივაში" მონაწილეობაზე უარი თქვეს საფრანგეთის, დანიის, ნორვეგიის, საბერძნეთის, ნიდერლანდის, კანადისა და ავსტრალიის მთავრობებმა. ჟენევის შეხვედრის წინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ურჩევს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს „შეიმუშაონ ეფექტიანი შეთანხმებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებას და დედამიწაზე მის შეწყვეტას". და მხოლოდ შეერთებულმა შტატებმა და მისმა რამდენიმე მოკავშირემ ჩათვალა შესაძლებლად არ დაეჭირა მხარი მსოფლიო გაერთიანების ამ ერთიანი მოწოდებისათვის. ამ ფაქტს, როგორც იტყვიან, კომენტარი არ სჭირდება.

ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ შეერთებულ შტატებში მოქმედებდნენ მძლავრი პოლიტიკური ძალები, რომლებმაც ყველა ღონისძიება იხმარეს, რათა, თუ ვერ ჩაშლიდნენ შეხვედრას, ყოველ შემთხვევაში, გამოეცლათ მისთვის დედაარსი, ნულის ტოლფასი გაეხადათ მისი მნიშვნელობა. ვფიქრობ, ბევრს ეხსომება ისეთი მოქმედება, როგორიცაა თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემის გამოცდა, ბალტიის ზღვაში დიდი სიშორის ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილი სახაზო ხომალდის „აიოვას" გამოჩენა, „პერშინგების" სასწრაფო განლაგება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბინარული ქიმიური იარაღის შექმნის გადაწყვეტილება, ბოლოს, ახალი რეკორდული სამხედრო ბიუჯეტის მიღება და ა. შ.

უფრო მეტიც, პრეზიდენტი უკვე ჟენევაში მიემგზავრებოდა, როდესაც ცნობილი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის წერილის ამბავი, რომელიც აფიცებდა არ დათანხმებოდა არავითარ მორიგებას სსრ კავშირთან, თუ ისინი დაადასტურებდნენ ხელშეკრულებებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისე მოქცეულიყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონოდა სრული თავისუფლება ემოქმედა გამალებული შეიარაღების ყველა მიმართულებით დედამიწაზეც და კოსმოსშიც.

მაგრამ განა მარტოოდენ პენტაგონით შემოიფარგლებოდა საქმე? ჩვენ ყურადღებიდან არ გამოგვრჩენია არც თავისებური „განაწესი", ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რომ მისცა ამერიკის ულტრამემარჯვენე წრეების სახელით მათმა იდეოლოგიურმა შტაბმა — „მემკვიდრეობის ფონდმა". პრეზიდენტს დაავალეს განეგრძო გამალებული შეიარაღება, არ მიეცა საბჭოთა კავშირისათვის შესაძლებლობა მოეხმარებინა სამხედრო ხარჯების ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელებისათვის, ეღვაწა, რათა საბოლოო ანგარიშით განედევნა სსრ კავშირი საერთაშორისო პოლიტიკიდან. ამ ვაჟბატონებმა ისე ღრმად შეტოპეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წინაშე დააყენეს ამოცანა ვეიძულებინეთ შეგვეცვალა ჩვენი წყობილება, ჩვენი კონსტიტუცია! ნაცნობი მოტივია, ამხანაგებო. ყოველივე ეს წინათაც არაერთგზის მოგვისმენია. ერთი სიტყვით, გვარიანად შემოგვიტიეს.

და მაინც, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეხვედრის სასარგებლოდ. მივიღეთ იმიტომ, რომ არ გვქონდა უფლება უგულებელგვეყო მსოფლიო მოვლენათა საშიში განვითარების გარდატეხის თუნდაც უმცირესი შანსი. მივიღეთ, რადგან გვესმოდა, რომ თუ ვერ შევძლებდით უშუალო და გულახდილ საუბარს ახლა, ხვალ ეს ასეც უფრო ძნელი იქნებოდა და, იქნებ, საერთოდ — ნაგვიანევიც.

უდავოა — ჩვენ შორის უდიდესი განსხვავებაა. მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში ასევე დიდია ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება ჩვენ შორის. დღევანდელი მომენტის სიმწვავე არ უტოვებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს სხვა ალტერნატივას, გარდა იმისა, რომ შევიმეცნოთ დიდი ჭეშმარიტება — ვიცხოვროთ ერთად.

პრეზიდენტთან პირველივე პირისპირ საუბრისას — ასეთ საუბრებს კი დიდი ადგილი დაეთმო ჟენევის შეხვედრაზე — პირდაპირ დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭოთა დელეგაცია ჩამოვიდა საერთაშორისო ცხოვრების ცენტრში არსებული ყველაზე მწვავე პრობლემის — ბირთვული ომის თავიდან აცილებისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის პრობლემის გადაწყვეტის საძიებლად. მთლიანად, როგორც პრეზიდენტს ვუთხარი, — ეს არის ჩვენი შეხვედრის დედაარსი, ეს განსაზღვრავს მის შედეგებსაც.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჟენევის მოლაპარაკება ხშირად ფრიად მწვავე და, მე ვიტყოდი, უაღრესად გულახდილი იყო. აქ უკვე შეუძლებელია ხერხის ხმარება — ვერც გაჭრის ვერც ეშმაკობა, ვერც პოლიტიკური და პროპაგანდისტული შტამპების მოშველიება — ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ომისა და მშვიდობის ამ საკვანძო საკითხებზე.

შეხვედრის დროს ამერიკის მხარე ჯიუტად იდგა თვისაზე — სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის განხორციელებაზე. გვეუბნებოდნენ, რომ საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის საშუალებათა შექმნას, რომლებიც თითქოს საერთოდ არც არის იარაღი. გვეუბნებოდნენ იმასაც, ეს საშუალებები ხელს შეუწყობსო ვითარების სტაბილიზებას, საერთოდ ბირთვული იარაღის თავიდან მოცილებასო. ის კი არა, გვთავაზობდნენ, რაღაც თვალსაწიერ მომავალში „გაგიზიარებთო" ამ საშუალებებს, წინადადებას აყენებდნენ, ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი ლაბორატორიების კარი გავუღოთო.

ჩვენ დაუფარავად ვუთხარით პრეზიდენტს, რომ არ ვეთანხმებით ასეთ შეფასებას. ყველა ეს საკითხი ჩვენ გულდასმით გავაანალიზეთ და გამოვიტანეთ ერთი დასკვნა. კოსმოსური შეიარაღება სულაც არ არის თავდაცვითი. მას შეუძლია წარმოშვას საშიში ილუზია, რომ შესაძლებელია კოსმოსური „ფარიდან" პირველმა მიაყენო მოწინააღმდეგეს ბირთვული დარტყმა და საპასუხო — თავიდან აიცილო ან, ყოველ შემთხვევაში, დააცხრო მაინც. რა გარანტიაა, რომ თავისთავად კოსმოსური იარაღი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს დედამიწაზე სამიზნეების მოსპობის საშუალებად? ყველაფერი სწორედ იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რაკეტსაწინააღმდეგო კოსმოსური სისტემა განიზრახა არა როგორც „ფარი", არამედ როგორც ერთიანი შეტევითი კომპლექსის ნაწილი.

ბუნებრივია, ჩვენ ვერ დავეთანხმებით მტკიცებას, თითქოს ვაშინგტონის პროგრამით გათვალისწინებული კოსმოსური საშუალებები საერთოდ არ წარმოადგენდეს იარაღს. ისევე როგორც ვერ ვირწმუნებთ დაპირებას, რომ შეერთებული შტატები გვიწილადებს იმას, რის შექმნასაც შეძლებს ამ თვალსაზრისით.

თუ ლაბორატორიების კარის გაღებაზე მიდგა საქმე, — ამას ვიზამთ მხოლოდ დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნის აკრძალვისადმი კონტროლის მიზნით, და სულაც არა — მათი ლეგალიზაციისათვის.

გვეუბნებიან, რომ სურთ აღმოფხვრან შიში რაკეტების წინაშე, მიაღწიონ საერთოდ ბირთვული იარაღის ლიკვიდაციას. ასეთი სურვილი მხოლოდ მისასალმებელია, იგი სავსებით შეესაბამება ჩვენი პოლიტიკის მიზნებს. მაგრამ ხომ გაცილებით უფრო იოლი იქნებოდა, მოგვესპო ეს შეიარაღება, თანაც არ შეგვექმნა საამისოდ კოსმოსური დამკვრელი სისტემები. მაშ, რაღა საჭიროა ათობით და ასობით მილიარდი დოლარის ხარჯვა და ბირთვულის გარდა კიდევ კოსმოსური შეიარაღების დახვავება? რა აზრი აქვს ამას?

მე ვკითხე პრეზიდენტს: ნუთუ ამერიკის ხელმძღვანელობას მართლა ჰგონია, რომ ამერიკული კოსმოსური იარაღის შექმნის პირობებში დავიწყებთ ჩვენი სტრატეგიული პოტენციალის შემცირებას, ჩვენივე ხელით დავეხმარებით ამერიკის შეერთებულ შტატებს შესუსტოს იგი? ამის იმედი ნუ გექნებათ. მოხდება სწორედ პირიქით: საბჭოთა კავშირი იძულებული იქნება წონასწორობის აღსადგენად გააძლიეროს თავისი შეიარაღების ეფექტიანობა, სიზუსტე, სიმძლავრე, რათა, თუ საჭირო გახდა, გაანეიტრალოს „ვარსკვლავეთის ომის" ელექტრონულ-კოსმოსური მანქანა, რომელსაც ამერიკელები ქმნიან.

და განა ამერიკელები უფრო მყუდროდ იგრძნობენ თავს, თუ ვაშინგტონის მიერ დაგეგმილ კოსმოსური შეიარაღების ეშელონებს კოსმოსში ჩვენი იარაღიც მიემატება? მართლა ხომ არ ირწმუნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ მონოპოლისტები გახდებიან კოსმოსურ სივრცეში. ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის სერიოზული.

მაგრამ ამერიკის ადმინისტრაცია ვერ მორევია ცდუნებას გამოსცადოს სამხედრო უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა. აი ახლაც, კოსმოსში გამალებულ შეიარაღებას რომ იწყებენ, იმის იმედით არიან, რომ დაგვჯაბნიან ელექტრონიკისა და კომპიუტერების წყალობით. მაგრამ პასუხს, როგორც ეს არაერთგზის ყოფილა წინათ, უსათუოდ ვიპოვით. თანაც უფრო ქმედით, საკმაოდ სწრაფ და, ალბათ, ნაკლებად ძვირადღირებულ პასუხს, ვიდრე ამერიკის პროგრამაა. ესეც სრულიად გარკვევით ვუთხარით პრეზიდენტს. (ხანგრძლივი ტაში).

ვფიქრობ, ჩვენს ურთიერთობაში ნამდვილი შემობრუნებისათვის, რომელიც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების, მსოფლიოს ხალხთა ინტერესების შესაბამისი იქნებოდა, საჭიროა ახლებური მიდგომა, მრავალი საგნის სულ სხვაგვარი დანახვა და, რაც მთავარია, ორი ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნება. სსრ კავშირი — და ეს ხაზგასმით აღვნიშნე ჟენევაში — არ ეკიდება მტრულად ამერიკის შეერთებულ შტატებს, პატივს სცემს ამერიკელ ხალხს. ჩვენ არ ვამყარებთ ჩვენს პოლიტიკას ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესების შელახვის სურვილზე. მეტსაც გეტყვით: ჩვენ, მაგალითად, არ გვინდა შეიცვალოს სტრატეგიული ბალანსი ჩვენს სასარგებლოდ. არ გვინდა იმიტომ, რომ ასეთი სიტუაცია გააძლიერებს მეორე მხარის ეჭვებს, გაზრდის საერთო სიტუაციის უსტაბილობას.

ცხოვრება ისეთი კალაპოტით მიედინება, რომ ჩვენი ქვეყნები უნდა შეეგუონ სტრატეგიულ პარიტეტს, როგორც ბუნებრივ მდგომარეობას. გვინდა თუ არა, გაგებით უნდა მოვეკიდოთ იმას, ყოველი მხარის შეიარაღების რა დონე შეიძლება ჩაითვალოს შედარებით საკმარისად მისი საიმედო თავდაცვის თვალსაზრისით. დარწმუნებული ვართ, ასეთი საკმარისობის დონე გაცილებით უფრო დაბალია იმაზე, რაც ფაქტობრივად აქვთ ახლა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს კი ნიშნავს, რომ სავსებით შესაძლებელია გადაიდგას მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი შეიარაღების შეზღუდვა-შემცირებისათვის, განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც არათუ არ დაასუსტებენ, არამედ განამტკიცებენ კიდეც როგორც სსრ კავშირის, ისე ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას, მთელი მსოფლიოს სტრატეგიულ სტაბილურობას.

რა უნდა ითქვას შეხვედრაზე განხილულ სხვა საკითხებზე?

დავიწყებ რეგიონალური კონფლიქტების პრობლემით. ორივე მხარემ გამოთქვა შეშფოთება ასეთი „ცხელი წერტილების" არსებობის გამო. ეს გასაგებიცაა. ამგვარი კონფლიქტები საშიში რამ არის, განსაკუთრებით ბირთვულ საუკუნეში მათი გაფართოების საფრთხის პირობებში.

მაგრამ ასეთი კონფლიქტების მიზეზებისა და თავიდან აცილების ხერხებისადმი მიდგომა ჩვენ, შეიძლება ითქვას, უბრალოდ განსხვავებული კი არა, პირდაპირ საწინააღმდეგო გვაქვს. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც შეეჩვია „ინტერესთა სფეროების" კატეგორიებით აზროვნებას, ამ პრობლემებს ამოწურავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეტოქეობით. მაგრამ ეს ხომ ჩვენს დღეებში ანაქრონიზმი, იმპერიული აზროვნების რეციდივია, რომელიც უარყოფს ხალხთა უმრავლესობის უფლებას დამოუკიდებლად ფიქრობდეს და წყვეტდეს.

ასეთი კონფლიქტების სიღრმისეული წყაროები მრავალმხრივია — ნაწილობრივ ფესვგადგმულია ისტორიაში, მაგრამ რაც მთავარია, იმ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში, რომლებშიც განთავისუფლებული ქვეყნები არიან ჩაყენებული. შემთხვევითი არ არის, რა თქმა უნდა, რომ, როცა რეგიონალური კონფლიქტების პრობლემებზე ლაპარაკობს, ამერიკის შეერთებული შტატები დუმილით უვლის გვერდს აპარტეიდის მხეცობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ამ ქვეყნის აგრესიას თავისი აფრიკელი მეზობლების მიმართ, ამერიკელი მარიონეტების ომებს ცენტრალურ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ისრაელის ყაჩაღობას ახლო აღმოსავლეთში და ბევრ სხვას. ვაშინგტონი ცდილობს ერთ სიბრტყეზე დააყენოს იმ სახელმწიფოთა კანონიერი მთავრობები, რომლებიც ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის გზას ადგანან, და კონტრრევოლუცია.

თავისთავად ცხადია, ჩვენ ვერ მივიღებდით ასეთ განმარტებას. პრეზიდენტს ვუთხარით, რომ ჩვენ თითოეული ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, გზის დამოუკიდებელი არჩევის ხელშეუვალი უფლების აღიარების მომხრენი ვართ. იმის მომხრენი ვართ, რომ ამ უფლებას არავინ არ თელავდეს ფეხქვეშ, რომ არავინ არ ცდილობდეს გარედან ჩარევას, რომ იმარჯვებდეს თავისუფლება და არა ტირანია. ჩვენ ვუჭერდით და კვლავაც დავუჭერთ მხარს ხალხებს, რომლებიც დამოუკიდებლობას იცავენ. ეს ჩვენი პრინციპული კურსია. (ტაში).

პრეზიდენტი შეეხო ავღანეთის საკითხს. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იღვწის ავღანეთის ვითარების პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. იმის მომხრე ვართ, რომ ჩვენი მეგობარი მეზობელი ავღანეთი იყოს დამოუკიდებელი მიუმხრობელი სახელმწიფო, რომ დამყარდეს ავღანეთის საქმეებში გარანტირებული ჩაურევლობის რეჟიმი. ამით გადაწყდება ამ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის საკითხი. საბჭოთა კავშირი და ავღანეთის მთავრობა მთლიანად ამის მომხრენი არიან. და თუ ვინმე უშლის კიდეც ხელს ამ საკითხის უსწრაფესად გადაწყვეტას, ეს არის უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც აფინანსებს, მხარს უჭერს, აიარაღებს კონტრრევოლუციონერთა ბანდებს, ფუშავს აქ ვითარების მოწესრიგებისათვის მეცადინეობას.

მოლაპარაკებაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ორმხრივი ურთიერთობის საკითხებმა. უკანასკნელ ხანს აქ დასახული გარკვეული გამოცოცხლება ახლა განმტკიცდა კონკრეტული შეთანხმებებით მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგში გაცვლისა და კონტაქტების, ჩვენს ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენის შესახებ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ არსებული პოტენციალის სრულად გამოყენება გაცილებით გაძნელდება პირობებში, როცა დაიწყება ჩვენი ურთიერთობის განმსაზღვრელ უშიშროების საკითხთა გადაწყვეტა. და თუ ვითანამშრომლებთ, მაშინ უნდა ვითანამშრომლოთ თანასწორო, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და წინასწარი პირობების, მეორე მხარის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდების გარეშე. აქ ჩვენ მტკიცე და თანამიმდევრულ პოზიციას ვადგავართ.

როგორ შეიძლება შევაფასოთ ჟენევის შეხვედრის მთავარი შედეგები?

შეხვედრა, უთუოდ, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. სასარგებლოა პირდაპირი, მკაფიო და კონკრეტული სჯა-ბაასი. სასარგებლოა პოზიციების ზუსტად შეპირისპირების შესაძლებლობა. ძალიან ბევრი უაღრესად საშიში, მწვავე პრობლემა დაგროვდა, რომლებიც სერიოზულად უნდა განგვეხილა და გვეცადა დაგვეძრა მკვდარი წერტილიდან.

ჩვენ ვაფასებთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან დამყარებულ პირად კონტაქტს. უმაღლესი ხელმძღვანელების დიალოგი ყოველთვის ჭეშმარიტების მომენტია სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დიალოგი გაიმართა — ახლანდელ რთულ დროში იგი თავისთავად მასტაბილიზებელი ფაქტორია.

მაგრამ ჩვენ რეალისტები ვართ და პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა შეხვედრაზე ვერ მოხერხდა. იმან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას არ სურს ხელი აიღოს „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამაზე, საშუალება არ მოგვცა ჟენევაში მიგვეღწია კონკრეტული მორიგებებისათვის რეალური განიარაღების თაობაზე და, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების ცენტრალურ პრობლემაზე. ორივე მხარის მიერ დაგროვებული იარაღის რაოდენობა შეხვედრის შედეგად არ შემცირებულა, გამალებული შეიარაღება გრძელდება. ეს არ შეიძლება არ იწვევდეს იმედის გაცრუებას.

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კვლავინდებურად არის დიდი უთანხმოებანი მსოფლიოს ვითარების, ცალკეულ რეგიონებში მოვლენათა განვითარების მთელი რიგი სხვა პრინციპული საკითხების გამოც. მაგრამ ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ დავაკნინოთ ჟენევაში მიღწეულ მორიგებათა მნიშვნელობა.

შეგახსენებთ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის ერთობლივ განცხადებაში დამკვიდრებული საერთო გაგება, რომ ბირთვული ომი არასოდეს არ უნდა გაჩაღდეს, რომ ამ ომში არ შეიძლება იყვნენ გამარჯვებულნი, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვალდებულება — თავიანთ ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ ეს უდავო ჭეშმარიტება, არ ეცადონ სამხედრო უპირატესობის მიღწევას.

ჩვენი აზრით, ერთად და უმაღლეს დონეზე დაფიქსირებული ეს გაგება საფუძვლად უნდა დაედოს ორი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. რაკი ვაღიარეთ, რომ ბირთვული ომი თავისი ხასიათით არ შეიძლება ემსახურებოდეს რომელიც გნებავთ რაციონალური მიზნების მიღწევას, მაშასადამე, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს სტიმული მისი თავიდან აცილების, მასობრივი მოსპობის საშუალებათა შემუშავებისა და გამოცდის შეწყვეტის, ბირთვული შეიარაღების დაგროვილი მარაგის სრული ლიკვიდაციის სასარგებლოდ. და მით უმეტეს შეუწყნარებელია დავისახოთ გამალებული შეიარაღების ახალი მიმართულებანი. რა თქმა უნდა, ერთობლივი განცხადება ხელშეკრულება არ არის, მაგრამ ეს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელთა ბევრის დამავალდებულებელი პრინციპული დებულებაა.

შემდეგ, სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მკაფიოდ დაადასტურეს ვალდებულება ხელი შეუწყონ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის ეფექტიანობის ყოველგვარ გადიდებას და შეთანხმდნენ ერთობლივ პრაქტიკულ ღონისძიებებზე ამ მიმართულებით. თანამედროვე შფოთიან საერთაშორისო ვითარებაში ამას არცთუ ნაკლები მნიშვნელობა აქვს მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნების, ბირთვული ომის წარმოქმნის რისკის შემცირებისათვის.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა ერთობლივ გამოსვლას მასობრივი მოსპობის ისეთი ბარბაროსული იარაღის საყოველთაო და სრული აკრძალვისა და მოსპობისათვის, როგორიცაა ქიმიური იარაღია. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები პრაქტიკულ პოლიტიკაშიც იხელმძღვანელებს ამ მნიშვნელოვანი გაგებით.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ფარგლებს სცილდება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის მორიგებაც სტოკჰოლმის კონფერენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან ერთად ხელი შეუწყონ მის უსწრაფესად დასრულებას დოკუმენტის მიღებით, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება როგორც ძალის გამოუყენებლობის კონკრეტული ვალდებულებანი, ისე ნდობის განმტკიცების ურთიერთმისაღები ღონისძიებანი.

შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, რომ შეხვედრის შესახებ გაჩნდა მთელი რიგი სასარგებლო მორიგებანი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების ბევრი მიმართულებით. ვფიქრობ, ისინი კარგი ბაზა იქნება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ნდობის დონის ამაღლებისათვის, თუ, რა თქმა უნდა, შემუშავებულს მოვეკიდებით საფუძვლიანად და განვავითარებთ ყოველივე იმ კეთილს, რასაც იგი შეიცავს, და არ დავიწყებთ მათი უარყოფის ხელოვნური საბაბის ძებნას.

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ჟენევაში მიღწეულ მორიგებას საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების პოლიტიკური კონტაქტების განგრძობის, მათ შორის უმაღლესი დონის ახალი შეხვედრების შესახებ.

ამრიგად, უფლება გვაქვს, ვთქვათ, რომ ჟენევის საერთო ბალანსი პოზიტიურია.

ასეთი დამაიმედებელი შედეგის მიღწევას, უეჭველია, გადამწყვეტწილად შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნის კონსტრუქციულმა, თანამიმდევრულმა პოლიტიკამ. ამავე დროს უსამართლობა იქნებოდა არ გვეთქვა აქ ისიც, რომ ამერიკის მხარის პოზიციაში შეხვედრაზე გამჟღავნდა რეალიზმის გარკვეული ელემენტები, რამაც ხელი შეუწყო მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტას.

რა თქმა უნდა, ყოველივე იმ სასარგებლოს ნამდვილი მნიშვნელობა, რაზეც შევთანხმდით ჟენევაში, შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ პრაქტიკული საქმეებით. ამასთან დაკავშირებით მინდა განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირი თავის მხრივ აპირებს არ შეანელოს ტემპი, მთელი სიმტკიცით და შეერთებულ შტატებთან პატიოსანი თანამშრომლობის სულისკვეთებით მიაღწიოს გამალებული შეიარაღების შეკვეცას, საერთაშორისო ვითარების საერთო გაჯანსაღებას. იმედი გვაქვს, რომ ასეთივე მიდგომას გამოიჩენს ამერიკის შეერთებული შტატებიც. მაშინ, დარწმუნებული ვარ, ჟენევაში გაწეული მუშაობა ნამდვილ ნაყოფს გამოიღებს. (ტაში).

ასე ვაფასებთ ამ მოვლენას, საერთაშორისო ურთიერთობაში მის როლს. შემიძლია კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ამ შეფასებას იზიარებენ ჩვენი მოკავშირენი — ძმური სოციალისტური ქვეყნები, რასაც მთელი სიცხადით მოწმობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკების დამთავრებისთანავე პრაღაში გამართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრა.

პრაღის შეხვედრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვითარება, რა თქმა უნდა, კვლავ რთულია. მისი გაჯანსაღებისათვის ბრძოლა გრძელდება, მაგრამ ამ ბრძოლის პირობები — და ეს უკვე დღეს შეიძლება ითქვას — გაუმჯობესდა. ჟენევის შეხვედრა დიდმნიშვნელოვანია ჩვენს გრძელვადიან, ერთობლივ, მჭიდროდ კოორდინირებულ ძალისხმევაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ბუნებრივია დავსვათ კითხვა: რა უნდა ვქნათ აწი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის დიალოგის შედეგების შესაბამისად?

როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჟენევაში მიღწეულ მორიგებას საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ახალი შეხვედრების მოწყობის თაობაზე. მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ ამ საკითხს ფორმალურად არ ვუდგებით. მნიშვნელოვანია არა თავად ფაქტი, რომ გაიმართება ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა ახალი შეხვედრა, არამედ ის, თუ როგორი იქნება მისი შედეგები. ხალხები ჟენევაში დასახული გზით პრაქტიკული წინსვლის მოლოდინში იქნებიან. სწორედ ამისათვის ვიღვაწებთ კიდეც. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგი უმაღლესი დონის შეხვედრისათვის მზადება ახლავე უნდა დავიწყოთ, თანაც უწინარეს ყოვლისა პრაქტიკული პოლიტიკის სფეროში.

რომ არ გავაგრძელოთ მომავალ მორიგებათა მიღწევა, ორივე მხარემ, დარწმუნებული ვართ, უწინარეს ყოვლისა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ძირს გამოუთხრის ყოველივეს, რასაც ჟენევაში მივაღწიეთ. თავი შეიკავოს აქციებისაგან, რომლებიც შეაფერხებენ მოლაპარაკებას, შეასუსტებენ გამალებული შეიარაღების მოქმედ შემზღუდველებს. ეს გულისხმობს, კერძოდ, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულების პატიოსან და ზუსტ დაცვას, აგრეთვე მხარეთა მიერ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების შესაბამის დებულებათა შემდგომ დაცვას.

მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ შევქმნათ გამალებული შეიარაღების ნამდვილი შეწყვეტის შესაძლებლობა და შევუდგეთ დაგროვილი ბირთვული არსენალების შემცირების პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას.

არის თუ არა ამის შესაძლებლობა? მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ არის. მართალია, ახლა ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ ჩვენი და ამერიკის წინადადებანი ბევრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ არ ვახდენთ ამ გარემოების დრამატიზაციას. აქ შესაძლებელია კომპრომისული გადაწყვეტები, და ჩვენ მზად ვართ ვეძიოთ ისინი.

ეჭვი არ არის, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების პირობებში გადაწყდება საიმედო კონტროლის საკითხებიც, რომლებითაც საბჭოთა კავშირი უშუალოდ არის დაინტერესებული. აქ სიტყვების იმედად ვერ ვიქნებით, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება განიარაღებას, ქვეყნის თავდაცვას.

მაგრამ მთელი ამ საკითხების გადაწყვეტისათვის სრულიად აუცილებელია ჩავრაზოთ კარი, რომლითაც იარაღმა შეიძლება კოსმოსში გააღწიოს. უამისოდ ბირთვული შეიარაღების რადიკალური შემცირება შეუძლებელია. ეს მინდა განვაცხადო მთელი პასუხისმგებლობით ხალხისა და მისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახელით. (ხანგრძლივი ტაში).

მორიგების მიღწევა შეიძლება, თუ იგი გაითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს. ამერიკის მხარის ჯიუტ მისწრაფებას, განაგრძოს კოსმოსური იარაღის შექმნა, შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ ერთი შედეგი: გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის შესაძლებლობის ბლოკირება. რა თქმა უნდა, ასეთი შედეგი მწარედ გაუცრუებს იმედს მთელი მსოფლიოს ხალხებს, მათ შორის, დარწმუნებული ვართ, ამერიკელ ხალხსაც.

დღეს არის რეალური შანსი მკვეთრად შევანელოთ ბირთვული ომის საფრთხე, შემდეგ კი სრულიად აღმოვფხვრათ მისი შესაძლებლობა. ამ შანსის ხელიდან გაშვება საბედისწერო შეცდომა იქნება. იმედი გვაქვს, რომ ის, რაც ჟენევაში ითქვა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის თაობაზე, ამერიკის მხარის ბოლო სიტყვა არ არის.

მე და პრეზიდენტმა რეიგანმა დავთქვით, რომ ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ ჟენევის მოლაპარაკებაზე წარგზავნილ ჩვენს დელეგაციებს დავავალებთ დააჩქარონ მოლაპარაკება, თანაც აწარმოონ იგი ორი ქვეყნის იანვრის მორიგების საფუძველზე. ამრიგად, ორივე მხარემ უმაღლეს დონეზე დაადასტურა: კოსმოსში გამალებული შეიარაღება თავიდან უნდა ავიცილოთ, ამასთან ეს საკითხი გადავწყვიტოთ ბირთვული შეიარაღების შემცირებასთან კომპლექსით. სწორედ ამისათვის იღვაწებს საბჭოთა კავშირი. სწორედ ამას მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. საქმით შევასრულებთ რა ერთად ნაკისრ ვალდებულებას, გავამართლებთ მთელი მსოფლიოს ხალხების იმედებს. (ხანგრძლივი ტაში).

რაც დრო გადის, მით უფრო მწვავდება ბირთვული გამოცდების შეწყვეტის საკითხი. და უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ბოლო უნდა მოეღოს ახალ სახეობათა ბირთვული იარაღის შექმნასა და არსებულთა სრულყოფას. შემდეგ იმიტომ, რომ უგამოცდებოდ, განუახლებლად წარიმართოს თანდათან ბირთვული არსენალების კვდომის, ბირთვული იარაღის გამკვდარების პროცესი. და ბოლოს, იმიტომ, რომ აღარ შეიძლება დავუშვათ, რომ ბირთვული აფეთქებები — ისინი კი ასობით აღირიცხება — ამახინჯებდეს ჩვენს მშვენიერ დედამიწას, აძლიერებდეს წუხილს იმის გამო, თუ როგორ იცხოვრებენ აქ მომავალი თაობები.

სწორედ ამიტომ გამოაცხადა საბჭოთა კავშირმა 1986 წლის 1 იანვრამდე ყველა სახეობის ბირთვული გამოცდების მორატორიუმი, ამიტომ მზად არის გააგრძელოს ეს მორატორიუმი, თუ ამერიკის შეერთებული შტატებიც ასე მოიქცევა. ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობისაგან ველით კონკრეტულ და პოზიტიურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მეტად სასიკეთო გავლენას მოახდენს მთელ ვითარებაზე, ბევრად შეცვლის მას, განამტკიცებს ჩვენს ხალხებს შორის ნდობას.

ჩვენ დავუსვით ეს საკითხი ამერიკის პრეზიდენტს ჟენევაში. პასუხი დუმილი იყო. მართლაც, არსებითად, არავითარი გონივრული არგუმენტები არ არის ბირთვული გამოცდების აკრძალვის წინააღმდეგ. ზოგჯერ კონტროლის სიძნელეებს იმიზეზებენ. მაგრამ საბჭოთა კავშირმა თვალნათლივ ცხადყო ეროვნული საშუალებებით ასეთი კონტროლის განხორციელების სრული შესაძლებლობა. ჩვენ წლეულს აღვრიცხეთ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მოწყობილი და გამოუცხადებელი ერთობ მცირე სიმძლავრის მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება. მზად ვართ [illegible] საერთაშორისო კონტროლის [illegible] შესაძლებლობაც. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს მოსაზრებანი, რომლებიც წამოყენებულია ექვსი სახელმწიფოს მიმართვაში. მათ შემოგვთავაზეს, რომ თავიანთი ქვეყნების ტერიტორიაზე შექმნან გამოცდების შეწყვეტის მორიგებათა შესრულებისადმი თვალყურის დევნების სპეციალური სადგურები.

მთელი მსოფლიო იმაღლებს ხმას ბირთვული გამოცდების შეწყვეტისათვის. ახლახან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მოწოდებას შეწყდეს ასეთი გამოცდები. და მხოლოდ სამმა ქვეყანამ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა — ხმა მისცა ამ რეზოლუციის წინააღმდეგ. ეს უაღრესად დასანანია.

მაგრამ დრო ჯერ კიდევ არის. ვფიქრობ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ბირთვული სახელმწიფოების ხელმძღვანელები გამოიყენებენ შექმნილ შესაძლებლობას და მშვიდობის ინტერესების გათვალისწინებით გამოავლენენ საჭირო პასუხისმგებლობას. მინდა შეგახსენოთ: ჩვენი მორატორიუმი ძალაში რჩება, და ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხის განხილვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიჩნეული იქნება მტკიცე მოწოდებად ყოველგვარი ბირთვული გამოცდის რეალისტური და დაუყოვნებელი აკრძალვისათვის.

მთლიანად საბჭოთა კავშირი სახავს ისეთ ღონისძიებათა ყოვლისმომცველ კომპლექსს, რომლებიც ყველა გზას უხშობს გამალებულ შეიარაღებას — იქნება ეს კოსმოსში თუ დედამიწაზე, ბირთვული, ქიმიური თუ ჩვეულებრივი იარაღი. საამისო კონკრეტული წინადადებანი ცნობილია — ვენაშიც, ჟენევაშიც და სტოკჰოლმშიც. ისინი ძალაში რჩება, მთლიანად ინარჩუნებს თავის აქტუალურობას.

ცალკე უნდა ითქვას ევროპის თაობაზე. დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას აქ ამოცანა, რომ არ დავუშვათ სამხედრო კონფრონტაციის დონის შემდგომი ამაღლება. ევროპის სახლი საერთო სახლია, სადაც გეოგრაფიამ და ისტორიამ მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს ათობით ქვეყნისა და ხალხის ბედ-იღბალი. თავიანთი სახლის შენარჩუნება, მისი გაუმჯობესებისა და მეტი უშიშროების უზრუნველყოფა ევროპელებს შეუძლიათ მხოლოდ კოლექტიურად, საერთაშორისო ურთიერთობისა და თანამშრომლობის გონივრული ნორმების დაცვით.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ევროპას, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ შესძინა მსოფლიოს კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის, მოწინავე საზოგადოებრივი აზრის დარგში, შეუძლია მაგალითის ჩვენება თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ურთულეს პრობლემათა გადაწყვეტაშიც. ამას საძირკველი ათი წლის წინათ ჩაეყარა ჰელსინკში. საბოლოო ანგარიშით, ჩვენი ულრმესი რწმენით, ევროპაში ვითარების პოზიტიური განვითარება ხელს აძლევს მთელ მსოფლიოს, მათ შორის შეერთებულ შტატებსაც. ჩვენ ვმუშაობდით და ვიმუშავებთ იმისათვის, რომ ევროპის მრავალტანჯულ კონტინენტზე უფრო ენერგიულად მკვიდრდებოდეს დაძაბულობის შენელების პრინციპები და პოლიტიკა, ისპობოდეს წარსულის ხერგილები, ბოლო წლების კონფრონტაციის შედეგები.

საგანგებოდ მინდა შევეხო აქ სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობას. დასავლეთის ბევრი ქვეყნის საქმიან წრეებს სურთ დაამყარონ ჩვენთან უფრო ფართო ეკონომიკური კონტაქტები. ეს არაერთხელ მსმენია ამ წრეების ფრიად გავლენიანი წარმომადგენლებისაგან, რომლებიც მზად არიან დადონ დიდი მასშტაბის კონტრაქტები და დაიწყონ დიდი ერთობლივი პროექტების განხორციელება. და, ჩემი აზრით, უბრალოდ არაგონივრულად იქცევიან ის პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც ცდილობენ შეზღუდონ საქმიანი თანამოქმედებისადმი ეს ბუნებრივი სწრაფვა ვიღაცის „დასჯის", პარტნიორისათვის ზარალის მიყენების იმედით. ამგვარმა პოლიტიკამ დიდი ხანია დრო მოჭამა. გაცილებით სასარგებლოა ძალისხმევა მოვახმაროთ სხვა რამეს, იმას, რომ ვაჭრობა და სამეცნიერო-ტექნიკური გაცვლა თანხმობისა და ნდობის მატერიალურ ბაზას განამტკიცებდეს.

ევროპაში, სხვა კონტინენტებზე მყარი მშვიდობისა და ხალხების თანამშრომლობისათვის ბრძოლაში ჩვენ კვლავაც მჭიდროდ ვიმოქმედებთ ვარშავის ხელშეკრულებით ჩვენს მოკავშირეებთან, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანასთან ერთად. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები არავითარ შემთხვევაში არ დათმობენ თავიანთი ხალხების უშიშროებას. ისინი სულ უფრო მეტად გააერთიანებენ ძალისხმევას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნითაც.

საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამოქმედებას მიუმხრობლობის მოძრაობასთან, მათ შორის ყოველმხრივ თანამშრომლობას ინდოეთის რესპუბლიკასთან, რომლის ხალხსა და ხელმძღვანელობას ჩვენ ულრმეს პატივს ვცემთ. (ტაში).

საბჭოთა ხელმძღვანელობა სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს. საბჭოთა კავშირს აზიაში ყველაზე გრძელი საზღვარი აქვს — ჩვენ აქ გვყავს ერთგული მეგობრებიც, საიმედო მოკავშირეებიც — მეზობელი მონღოლეთიდან სოციალისტურ ვიეტნამამდე. უაღრესად საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ეს რეგიონი არ იყოს დაძაბულობის წყარო, სამხედრო

(დასასრული მე-3 გვ.).

დეპუტატ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(დასასრული)

კონფრონტაციის სფერო. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ მშვიდობის, კეთილმეზობლობის, ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის ფართოვდებოდეს აქ მდებარე ყველა სახელმწიფოს პოლიტიკური დიალოგი.

ჩვენ მივესალმებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოზიციას, რომელიც კოსმოსის მილიტარიზაციის წინააღმდეგია, მის განცხადებას, რომ არ იხმარს პირველი ბირთვულ იარაღს.

ჩვენ ვემხრობით იაპონიასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი შესაძლებლობა რეალურია. მას განაპირობებს თუნდაც ის უბრალო ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნები უშუალო მეზობლები არიან. აღმოვფხვრათ ბირთვული საფრთხე — ამ ძირეულ საკითხში სსრ კავშირისა და იაპონიის ინტერესები არ შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

ჩვენ თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ურთიერთობა გვაქვს ლათინური ამერიკის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის ბევრ სახელმწიფოსთან. საბჭოთა კავშირი კვლავაც მიზანდასახულად იმუშავებს ამ ურთიერთობის განვითარებისათვის. ჩვენ განსაკუთრებით ვაფასებთ მჭიდრო კავშირურთიერთობას, რომელიც დამყარდა სხვადასხვა კონტინენტზე მდებარე სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებთან.

მთელი მსოფლიოს ხალხების წინაშე დაისვა დღეს მრავალი ისეთი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ერთად და უსათუოდ მშვიდობის პირობებში. ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ ადამიანთა წინაშე პრაქტიკულად არ იდგა სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები. მაგრამ უკვე ჩვენი თაობა მოესწრო ტყეების მასობრივ დაღუპვას, ცხოველების გადაშენებას, მდინარეებისა და წყალსატევების მოწამვლას, უდაბნოთა ზონების გაფართოებას. როგორ დაინახავენ მსოფლიოს მომავალი თაობები? შეძლებენ კი ისინი აქ ცხოვრებას, თუ არ შეწყდა ბუნების მტაცებლური ნგრევა, თუ თანამედროვეობის ეკონომიკური, ტექნიკური და მეცნიერული მიღწევები ადამიანის არსებობისა და განვითარების პირობების უზრუნველყოფას, მისი ბინადრობის გარემოს საჭიროებებს კი არ მოხმარდა, არამედ მოსპობის იარაღის სრულყოფას?

ანდა ავიღოთ ენერგეტიკა. ჩვენ ჯერჯერობით ძირითადად მიწის წიაღისეულის ხარჯზე ვცხოვრობთ. მაგრამ ის, რაც [illegible] ზედაპირზე იდო, იშრიტება, წიაღისეულის შემდგომი გამოყენება კი სულ უფრო ძვირდება, სულ უფრო ძნელი საქმე ხდება. და თანაც ეს წყარო მარადიული როდია.

საშიში ძვრები შეიძლება მოჰყვეს აგრეთვე მზარდ სხვაობას ერთ მუჭა დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და იმ განვითარებად ქვეყნებს შორის — ისინი კი დიდ უმრავლესობას შეადგენენ, — ვისი ხვედრიც გახდა სიღატაკე, შიმშილი, უსაშველობა. ამ ორ მსოფლიო პოლუსს შორის უფსკრული სულ უფრო ღრმავდება, ურთიერთობა კი სულ უფრო ანტაგონისტური ხდება. სხვაგვარი იგი არ შეიძლება იყოს, თუ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები არ შეცვლიან თავიანთ ეგოისტურ პოლიტიკას.

ყველა ამ პრობლემის გადაჭრა ხელეწიფება კაცობრიობას დღეს, თუ გააერთიანებს ძალებსა და გონებას. მაშინ შეიძლება ახალი სიმაღლეების დაპყრობა ცივილიზაციის განვითარებაში.

მილიტარიზმი ხალხების მტერია. გამალებული შეიარაღება, რომელსაც აძლიერებს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მოგების წყურვილი, უგუნურია. იგი ლახავს ყველა ქვეყნისა და ხალხის საარსებო მნიშვნელობის ინტერესებს. სწორედ ამიტომ არის, რომ როცა ჩვენ ბირთვული იარაღის მოსპობის ნაცვლად გვთავაზობენ გავავრცელოთ გამალებული შეიარაღება კოსმოსშიც, მტკიცე უარს ვამბობთ. უარს ვამბობთ, ვინაიდან ასეთი ნაბიჯი ნიშნავს სახსრების ახალ უგუნურ ფლანგვას. ჩვენ უარს ვამბობთ, ვინაიდან ეს ნიშნავს გავაძლიეროთ საშიშროება, რომელიც შეექმნა მსოფლიოს. უარს ვამბობთ, ვინაიდან თვით ცხოვრება მოითხოვს არა შეჯიბრებას შეიარაღებაში, არამედ ერთობლივ მოქმედებას მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირი ამ მიმართულებით საერთაშორისო ცხოვრების განვითარების მტკიცე მომხრეა. (ტაში).

სსრ კავშირის ინიციატივით და სხვადასხვა ქვეყნის სწავლულთა მონაწილეობით დაიწყო თერმობირთვული რეაქტორის „ტოკამაკის" პროექტის დამუშავება, რომელიც ენერგეტიკული პრობლემის რადიკალური გადაჭრის საშუალებას იძლევა. როგორც მეცნიერები ადასტურებენ, ჯერ კიდევ ამ საუკუნეში შეიძლება შეიქმნას „მიწიერი მზე" — თერმობირთვული ენერგიის უშრეტი წყარო. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჟენევაში დავთქვით განვაგრძოთ ეს მნიშვნელოვანი მუშაობა.

ჩვენმა ქვეყანამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განსახილველად წარუდგინა კოსმოსში მშვიდობიანი თანამშრომლობის, ისეთი მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის შექმნის ვრცელი პროგრამა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ქვეყნების მეცადინეობას კოსმოსის გამოკვლევაში, ათვისებაში. ამის შესაძლებლობები ჭეშმარიტად ამოუწურავია. ეს არის ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევები და მათი შედეგების გამოყენება გეოლოგიის, მედიცინის, მასალათმცოდნეობის, კლიმატისა და გარემოს შესწავლის დარგში. ეს არის კავშირის თანამგზავრების გლობალური სისტემის, დედამიწის დისტანციური ზონდირების შექმნაც და, ბოლოს, ეს არის ყველა ხალხის ინტერესებისათვის ახალი კოსმოსური ტექნიკის, მათ შორის დიდი ორბიტული სამეცნიერო სადგურების, სხვადასხვა პილოტირებული ხომალდების შექმნა და გამოყენება, პერსპექტივაში კი დედამიწისირგვლივი სივრცის ინდუსტრიალიზაცია. ასეთია „ვარსკვლავეთის ომების" გეგმების რეალური ალტერნატივა, იგი ესწრაფვის მთელი კაცობრიობის მშვიდობიან მომავალს.

საბჭოთა კავშირი მსოფლიო ოკეანის რესურსების სამეურნეო გამოყენების რეჟიმის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დადების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. ამ ამოცანის გადაწყვეტას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესის უზრუნველყოფისათვის, იმ შესაძლებლობათა გაფართოება-გამრავლებისათვის, რომლებიც აქვს თანამედროვე საზოგადოებას.

ჩვენ ვთავაზობთ მთელ მსოფლიოს, მათ შორის კაპიტალისტური სახელმწიფოების სამყაროს, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ფართო, ხანგრძლივ, მრავალმხრივ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს იმ ახალ შესაძლებლობებს, რომლებსაც კაცობრიობას უქმნის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ერა. და ამ პროგრამის განხორციელებაში ორი ისეთი სახელმწიფოს თანამშრომლობა, როგორიც საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატებია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ჩვენი პოლიტიკა ნათელია — ეს არის მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა.

ამხანაგებო! ჩვენი საგარეო პოლიტიკის წარმატების სათავეები სოციალისტური წყობილების შინაგან ბუნებაშია. კომუნისტური პარტია კარგად გრძნობს და დიდად აფასებს მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერას. ეს მხარდაჭერა მილიონთა ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობაა. სახალხო მეურნეობაში მიღწეული შედეგები მარტო ეკონომიკური კი არა, უმნიშვნელოვანესი მორალურ-პოლიტიკური შედეგიც არის, რომელიც მოწმობს ჩვენ მიერ აღებული კურსის სისწორეს.

წინ მნიშვნელოვანი [illegible] საქმეები [illegible] ნელი, გვაქვს [illegible] — განუხრელი [illegible] აქ მნიშვნელოვანია რწმენა, რომ არჩეული გზა სწორია, და ეს რწმენა აასკეცებს რევოლუციურ ენერგიასა და რევოლუციურ ენთუზიაზმს..." და ასეთი რწმენა, რომელიც ამრავლებს ჩვენს ძალებს, აქვთ ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს. (ხანგრძლივი ტაში).

დარწმუნებული ვართ, რომ თითოეული კომუნისტი, თითოეული მუშა, თითოეული გლეხი, თითოეული ინჟინერი და მეცნიერი, თითოეული შრომითი კოლექტივი სამშობლოს წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით მოიხდის თავის ვალს.

დარწმუნებული ვართ, რომ თითოეულ სამუშაო ადგილზე გაკეთდება ყველაფერი, რათა 1986 წლის გეგმები წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს, რათა ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მდიდარი და ძლიერი გახდეს, ხოლო ქვეყნად მშვიდობის საქმე მტკიცდებოდეს და იმარჯვებდეს. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის

(გაგრძელება)

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო ყურადღებით განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ ბიუჯეტის განხილვის დროს აღძრულ ყველა საკითხს, და შედეგებს მოახსენებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. განხორციელებულ ღონისძიებებს დროულად გაეცნობენ დეპუტატებს.

დეპუტატებმა პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღეს კანონი სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

სესიამ ერთხმად მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ განხილვას საკითხისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლებსა და სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა დეპუტატმა **ბ. ვ. კრავცოვმა**.

ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის მთელი საქმის გაუმჯობესების, ცხოვრებისა და შრომისათვის მისი ყოველმხრივი მომზადების გზაზე, თქვა მან, დიდი ეტაპია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა. მის განხორციელებას ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის მუშაობა აჰყავს თვისებრივად ახალ დონეზე, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ძირეულად გავაუმჯობესოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შინაარსი და ორგანიზაცია, მოსწავლეთა მარქსისტულ-ლენინური წრთობა, შრომითი აღზრდა და პროფესიული ორიენტაცია, სრულვყოთ მუშათა კადრებისა და სპეციალისტების მომზადება, შევავსოთ ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლება საყოველთაო პროფესიული განათლებით.

ყოველივე ეს განაპირობებს იმის საჭიროებას, რომ მოქმედი კანონმდებლობა შევუსაბამოთ რეფორმის ძირითად მიმართულებებს, სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის დებულებათა გათვალისწინებით, და ამით შევქმნათ სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამ სფეროში საზოგადოებრივი პროცესების მართვის ეფექტიანი სამართლებრივი ბერკეტები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალათ მოემზადებინათ წინადადებანი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში რეფორმით განპირობებული საჭირო ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამ დავალების შესასრულებლად ასეთი წინადადებები მოამზადეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებმა და საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით. გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით. სესიის განსახილველად შემოტანილია შესაბამისი კანონების პროექტები.

ვითვალისწინებთ რა, რომ წინადადებებს სახალხო განათლების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების ცვლილებათა და დამატებათა თაობაზე არსებითი ხასიათი აქვთ, თქვა მომხსენებელმა, გთავაზობთ ამ დოკუმენტის ახალი რედაქციის დამტკიცებას. პარტიის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ვრცელი კონცეფციის შესაბამისად პროექტში დაზუსტებულია სსრ კავშირში სახალხო განათლების მიზნები და ამოცანები თანამედროვე პირობებში.

სახალხო განათლების საბჭოთა სისტემის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად ცხადდება ახალგაზრდობის პროფესიული განათლება. სახალხო განათლების სახელმწიფო მართვის ცენტრალური ორგანოები ახორციელებენ ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ამ დარგში, სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშათა კადრებისა და სპეციალისტების მომზადებაში. ამ პოლიტიკის განხორციელებაში მნიშვნელოვნად იზრდება სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა. საფუძვლების ახალ რედაქციაში განმტკიცებულია სახალხო განათლების სფეროში შრომითი კოლექტივების როლის ამაღლებაც.

ამ დოკუმენტში კიდევ უფრო განვითარდა საბჭოთა კანონმდებლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი კონსტიტუციური პრინციპი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ეროვნების, რასობრივი კუთვნილების, ენისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად ყველა საბჭოთა მოქალაქის სრული თანასწორობისა და უფლებათა ერთიანობის პრინციპი. სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ზოგადი საშუალო განათლების ძირითადად ერთიანი შინაარსი და ერთიანი დონე, ამასთან ყოველმხრივ არის გათვალისწინებული მოკავშირე რესპუბლიკათა მოსახლეობის ეროვნული თავისებურებანი, ერთიანი მოთხოვნები კვალიფიციური მუშათა კადრებისა და სპეციალისტების მომზადებისადმი. კანონმდებლობით დამკვიდრებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა უფლება ისწავლონ მშობლიურ ენაზე ან სსრ კავშირის სხვა ხალხის ენაზე. ამავე დროს სასწავლებლებში, სადაც სწავლება რუსულ ენაზე არ წარმოებს, იქმნება საჭირო პირობები მშობლიურთან ერთად რუსული ენის შესასწავლად, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა ნებაყოფლობით მიიღეს როგორც ერთაშორისი ურთიერთობის საშუალება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში განსაკუთრებით არის ხაზგასმული, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას, ჰარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს დებულებანი აისახა საფუძვლების პროექტში.

ახლა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სკოლას დასახული აქვს ისეთი ახალი ამოცანები, როგორიც არის მოსწავლეთა მიერ თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის დაუფლება, მათი ეკონომიკური აზროვნების, წარმოების საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნის ჩამოყალიბება.

ნორჩ მოქალაქეთა სწავლის, შრომისა და თავისუფალი დროისათვის ყოველმხრივი ზრუნვით არის გამსჭვალული მოსწავლეთა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობების შესახებ საფუძვლების ახალი რედაქციის ნორმები. აქ დამკვიდრებულია კონსტიტუციური დებულება იმის შესახებ, რომ ყველა სახის განათლება უფასოა, გათვალისწინებულია ფართო უფლებები და შეღავათები, მათ შორის შეძენილი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამისად სამუშაოთი უზრუნველყოფაში.

ახალგაზრდობის სწავლისა და აღზრდის რთულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად მასწავლებელზეა დამოკიდებული. სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომით კოლექტივებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ყველა მოქალაქეს ეკისრებათ მოვალეობა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მასწავლებლისა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა როლის, ავტორიტეტისა და პრესტიჟის გაზრდას. გადიდებულ მოთხოვნებს ვუყენებთ პედაგოგიური კადრების მომზადებას. გათვალისწინებულია მთელი რიგი დამატებითი შეღავათები და უპირატესობანი სახალხო განათლების მუშაკებისათვის, აგრეთვე მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

საფუძვლების ახალ რედაქციაში აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისად ჩაწერილია, რომ მოქალაქეებმა უნდა იზრუნონ შვილების აღზრდისათვის, მოამზადონ ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, აღზარდონ სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად. ორატორმა დაასაბუთა აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტებში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტი.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, განაცხადა დასასრულ დეპუტატმა კრავცოვმა, მტკიცე სამართლებრივ ბაზას უქმნის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დასახულ იმ ღონისძიებათა ეფექტიან განხორციელებას, რომელთა მიზანია სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარება, ჩვენს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მოთხოვნილებებისა და კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივების გათვალისწინებით.

ეროვნებათა საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ნ. ფედოსეევმა** გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებისა და საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების თანამოხსენება სახალხო განათლების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობის საფუძვლებში და სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტებში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით ცვლილებათა შეტანის საკითხზე. ქვეყნის წინაშე დასახულ რთულ და მრავალფეროვან ამოცანათა გადაწყვეტას, თქვა მან, პარტია უკავშირებს ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, მასების შემოქმედების განვითარების ახალი გზების ძიებას, სოციალისტური წყობილების მთელი შინაგანი მამოძრავებელი ძალების ამოქმედებას.

სწორედ ამ მიზნით ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიამ და პალატების საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა სსრ კავშირის სამინისტროების და უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გასწიეს მუშაობა, რათა საჭირო ცვლილებანი შეეტანათ სახალხო განათლების შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობის საფუძვლებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში.

სახალხო განათლების შესახებ კანონმდებლობის მოქმედი საფუძვლები არსებითად გადაამუშავეს. დამატებით შეტანილია ცხრა ახალი მუხლი. ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღნიშნა თანამომხსენებელმა, სახალხო განათლების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები მომზადებულია ახალი რედაქციით.

—

დეპუტატებმა პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღეს სსრ კავშირის კანონები სახალხო განათლების თაობაზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობის საფუძვლებში და სსრ კავშირის ზოგიერთ სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **თ. ნ. მენთეშაშვილმა**. დეპუტატებმა მოხსენების გამო მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

მოხსენება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებისა და საერთაშორისო ვითარების შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა **მ. ს. გორბაჩოვმა**.

მოხსენება დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. დარბაზში გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

შემდეგ დაიწყო კამათი.

(საკდესი).

(დასასრული შემდეგ ნომერში)

დაჩქარებისა და პროგრესის კურსით

კავშირის საბჭოში

26 ნოემბერს 14 საათზე კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო კავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, დ. ა. კუნაევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ნ. ვ. ტალიზინს, ბ. ნ. ელცინს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სხდომა მიმდინარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის **ლ. ნ. ტოლკუნოვის** თავმჯდომარეობით.

შეკრებილთ პატივი მიაგეს დეპუტატ ა. ა. ეპიშევის ხსოვნას, რომელიც მესამე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში გარდაიცვალა.

შემდეგ პალატის სამანდატო კომისიის თავმჯდომარის **კ. ხ. დემირჩიანის** მოხსენების გამო დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ.

სხდომაზე ცვლილებანი შეიტანეს კავშირის საბჭოს ზოგიერთი მუდმივი კომისიის შემადგენლობაში. საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი გ. პ. რაზუმოვსკი. აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის თავმჯდომარედ — დეპუტატი ა. თ. პონომარიოვი, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარედ დეპუტატი კ. სალიკოვი.

კავშირის საბჭოს მუდმივი კომისიების თანამოხსენება სსრ კავშირის 1986 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, 1985 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის, სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1984 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ა. მასოლმა.**

დეპუტატებმა — კომისიის წევრებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, თქვა მან, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში პარტიის მიერ განხორციელებული ცვლილებანი სრულად გამოხატავს მშრომელთა სურვილებსა და განწყობილებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობა მიმდინარეობს პარტიის XXVII ყრილობისათვის უშუალო მზადების დღეებში.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1986 წლის გეგმა შემუშავებულია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებათა პროექტების მოთხოვნების შესაბამისად. მასში გათვალისწინებულია პარტიის დებულებანი საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებისა და მისი ეფექტიანობის გადიდების, ყველა სახეობის რესურსების დაზოგვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ინტენსიფიკაციის უზრუნველმყოფელი დარგების პრიორიტეტული განვითარების, ეკონომიკური და ფინანსური მუშაობის სრულყოფის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ.

კომისიებმა დეტალურად გააანალიზეს სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის, თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის საქმეთა მდგომარეობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის მიერ შემუშავებული სტრატეგიული კურსის შესაბამისად.

შეეხო რა ნედლეულის გამოყენების ეფექტიანობის ზრდისა და რესურსების დაზოგვის საკითხებს, ორატორმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმომარაგება, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი და სხვა უწყებანი ამ ამოცანებს საერთოსაკავშირო დონეზე ჯერჯერობით ძალზე ნელა წყვეტენ.

დიდი და რთული ამოცანები უნდა გადაჭრან გაისად სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგებმა, მშენებლობამ, ეკონომიკის სხვა სფეროებმა. დასახულია კიდევ უფრო განმტკიცდეს აგროსამრეწველო კომპლექსი, გაძლიერდეს მისი ეფექტიანობა.

1986 წლის გეგმით ძირითადად წყდება ამოცანები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის შესაბამისად. ამასთანავე ცალკეული პოზიციების მიხედვით საქონლის წარმოების გეგმა სრულად არ შეესატყვისება ამ წლის პროგრამის დავალებებს.

კომისიებმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის უწყებებსა და სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მისცეს განაგრძონ შესაძლებლობათა ძიება, რათა არსებითად გააფართოონ საქონლის გამოშვება, ამასთან მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მისი ხარისხი და ასორტიმენტი. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში, რომელსაც მთელი ხალხი უჭერს მხარს, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ბაზრის უზრუნველყოფას კარგი საქონლით ადამიანთა საინტერესო და სასარგებლო დასვენებისათვის.

კომისიების სახელით ორატორმა წინადადება შეიტანა დაამტკიცონ მათი შესწორებების გათვალისწინებით სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი. შეტანილია აგრეთვე წინადადება დამტკიცდეს 1984 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი თანხების ოდენობით.

მომავალი წელი რთული და პასუხსაგებია თავისი ამოცანებით, როგორც პირველი წელი მეთორმეტე ხუთწლედისა, რომელშიც უნდა შეიქმნას მომდევნო წლებში შემდგომი დაჩქარების მტკიცე მარაგნაკეთი.

დასასრულ ვ. ა. მასოლმა გამოთქვა რწმენა, რომ ქვეყნის მშრომელები, რომლებმაც გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ყოველ ღონეს იხმარენ პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

კამათის გახსნისას რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დეპუტატი **ვ. კ. გუსევი** შეეხო რთულ, მასშტაბურ ამოცანებს, რომლებიც ახალ ხუთწლეულში უნდა გადაწყვიტონ რუსეთის სფს რესპუბლიკის მშრომელებმა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში არის მწვავე პრობლემები და დიდი ნაკლოვანებანი, რომლებიც აფერხებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარეობას. საქმე უწინარესად ეხება ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ურალის რაიონებს, სადაც მოსახლეობა სწრაფად მატულობს. საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი შექმნილი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, მათს აღმასრულებელ ორგანოებს.

პარტიის მიერ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის დასახულ ღონისძიებათა კომპლექსში, თქვა უკრაინის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ა. სოლოგუბმა**, დიდმნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მოქმედ წარმოებათა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. ეს განსაკუთრებით სჭირდება ქვანახშირის მრეწველობას, შავ მეტალურგიას.

შეეხო რა გეგმის სოციალურ ასპექტებს, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კოლექტივების მიერ გამომუშავებულ წახალისების ფონდებს. მაგრამ ბევრი სამინისტრო და უწყება ჯერ კიდევ არ ითვალისწინებენ მშრომელთა კოლექტივების წინადადებებს იმის თაობაზე, რომ წახალისების ფონდები მოახმარონ საცხოვრებელი ბინების, სხვა სოციალური ობიექტების დამატებითი მშენებლობას.

მინსკის საწარმოო გაერთიანება „ინტეგრალის" შემდუღებელმა დეპუტატმა **ა. დ. შლაპაკოვამ** ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებიც კოლექტივმა მოიპოვა პარტიის მომავალი ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მეთორმეტე ხუთწლედში ჩვენ წინაშე პასუხსაგები ამოცანები დგას, თქვა დეპუტატმა. „ინტეგრალის" მშრომელებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს „ავტოვაზის" პატრიოტულ ინიციატივას, იკისრეს ვალდებულებანი, რომლებიც საკონტროლო-საგეგმო დავალებებს სჭარბობს. მთელ პროდუქციას გამოუშვებენ მომუშავეთა რიცხვის გაუდიდებლად, გააუმჯობესებენ მის ხარისხს.

დეპუტატმა საჭიროდ ცნო მნიშვნელოვნად გაძლიერდეს მომთხოვნელობა უქნარების, მუქთახორების, წუნისმკეთებლების — ყველას მიმართ, ვინც ხელს გვიშლის წინსვლაში.

ახალი ხუთწლედის დამდეგს, თქვა უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **გ. ხ. კადიროვმა**, ჩვენ საფუძვლიანად განვიხილეთ გაწეული მუშაობის შედეგები და კარგად გვესმის, რომ გვაქვს მნიშვნელოვანი რეზერვები და გადასაწყვეტი საკითხები. მთელ რიგ დარგებში არ სრულდება დაწესებული დავალებანი, საერთო შედეგებს დაღს ასვამს უხეში დარღვევები, მასობრივი წამატებები, თვალის ახვევა და დატაცება, განსაკუთრებით — მებამბეობასა და მეცხოველეობაში.

ორატორმა აღნიშნა უზბეკეთის ინტერნაციონალური წვლილი რუსეთის ფედერაციის არაშავმიწანიადაგიანი ზონის განვითარებაში, დასავლეთ ციმბირის სიმდიდრეთა ათვისებაში.

ოლქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, თქვა სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ვ. ი. კალაშნიკოვმა**, წარმატებით ასრულებენ პროდუქციის რეალიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდის დავალებებს. მოქმედი წარმოების შეუჩერებლივ მიმდინარეობს ბევრი საწარმოს რეკონსტრუქცია.

დეპუტატის გამოსვლაში დიდი ადგილი დაეთმო ვოლგოგრადის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს.

ორატორმა აღნიშნა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა უაღრესად დიდი მნიშვნელობა. სპირტიანი სასმელების გაყიდვის შემცირებამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეუმჯობესებინა წესრიგი წარმოებასა და ყოფაში, გაგვეჯანსაღებინა ქვეყნის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

მთელი ჩვენი მუშაობის ხერხემალია თითოეული საწარმოს, ყოველი გაერთიანების და საერთოდ, დარგის ტექნიკური განახლების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, თქვა სსრ კავშირის მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრმა დეპუტატმა **ს. ა. აფანასიევმა**. ამ პროგრამებით დასახულია ამოცანა — უკვე მომავალ ხუთწლედში მივაღწიოთ მაღალ თანამედროვე ტექნიკურ დონეს. ჯერჯერობით კი, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მოწყობილმა შემოწმებამ გვიჩვენა, ამ დონეს მათგან მხოლოდ ნახევარი შეესაბამება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შავი მეტალურგიის რეკონსტრუქციას და ტექნიკურ განახლებას. ორატორმა შეკრებილთ აღუთქვა, რომ დარგის ხელმძღვანელობამ ჯეროვანი დასკვნები გამოიტანა კრიტიკიდან, რომელიც მანქანათმშენებელთა მიმართ გამოითქვა ტიუმენის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე.

რესპუბლიკაში, თქვა ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. ა. ნაზარბაევმა**, წელს გარკვეული ზრდაა მიღწეული მარცვლეულის, ხორცის, ბოსტნეულის წარმოებაში. მაგრამ ეს ციფრები მაინც ჩამორჩება საგეგმოს. ყაზახეთის აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა შრომის ნაყოფი გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ყოველი საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა ზუსტად რომ იცავდეს ტექნოლოგიურ დისციპლინას, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ყველა პირობას რომ უქმნიდნენ კადრებს შემოქმედებითი მუშაობისათვის, უფრო ინტენსიურად იყენებდნენ ადამიანის ფაქტორს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის გადიდების პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ლიტვის სსრ შილუტის რაიონის სკკპ XXV ყრილობის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა დეპუტატმა **ზ. ს. დოქშასმა**. ამ მეურნეობის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის დავალებანი. ერთნახევარჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა. დეპუტატმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების დამკვიდრებას და დააყენა საკითხი სოფლად ინდივიდუალურ მშენებლობასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემების გადაჭრის საჭიროების შესახებ. მან შემოიტანა წინადადება მეტი შეღავათი მიენიჭოთ გამშენებლებს.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **დ. ლ. ქართველიშვილი** (სიტყვა დაიბეჭდება გაზეთის შემდეგ ნომერში).

სკკპ არხანგელსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **პ. მ. ტელეპნევმა** მთავარი ყურადღება დაუთმო ნაკლოვანებებს, ხარვეზებს, გადასაწყვეტ პრობლემებს. მთელ რიგ საწარმოებში ნელა იზრდება პროდუქციის გამოშვება, არ სრულდება ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეკვეთები. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ჩამორჩენა საბინაო მშენებლობაში.

ოშის ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების ფეიქარმა დეპუტატმა **დ. ა. კადიროვამ** ილაპარაკა რეკონსტრუქციის პრობლემებზე. არ არის დამაკმაყოფილებელი საწარმოს ტექნიკური განახლების ტემპი. უკვე ცხრა წელიწადია მიმდინარეობს რეკონსტრუქცია, საქსოვ წარმოებაში კი მხოლოდ მესამედი მოწყობილობაა გამოცვლილი. ამასთან დაკავშირებით დეპუტატმა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სთხოვა დააჩქაროს გაერთიანებისათვის მოწყობილობის მიწოდება. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ შრომით კოლექტივს უაღრესად სჭირდება დამატებითი საცხოვრებელი ფართობი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სასკოლო დაწესებულებანი.

თავის გამოსვლაში საბჭოთა კავშირის ელექტრომანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა დეპუტატმა **ი. ა. გლებოვმა** დაასახელა კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გადამწყვეტ გავლენას ახდენს ლენინგრადის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მუშაობის ეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფაზე.

მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის გენერალურმა დირექტორმა დეპუტატმა **ვ. ტ. საიკინმა** თქვა, რომ მეთორმეტე ხუთწლედში ავტოქარხნელებმა უნდა დაიწყონ ეკონომიური დიზელის ძრავით აღჭურვილი მძლავრი ავტომობილების მასობრივი წარმოება. საუწყებათაშორისო ბარიერების დაძლევა ხუთწლედის დაძაბული გეგმების შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვია, თქვა მან. ნაყოფიერი პარტნიორობის მაგალითია ავტოქარხნელთა თანამეგობრობა ივანოვოელ ჩარხმშენებლებთან.

„ცენტროსოიუზის" გამგეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა **მ. პ. ტრუნოვმა** თქვა, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია სულ უფრო აფართოებს დამამზადებელ საქმიანობას, ზრდის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას და ავითარებს მომსახურების სფეროს.

სვერდლოვსკის ოლქის მშრომელთა მთელი ძალისხმევა ხმარდება ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლეულის დავალებათა ვადამდე შესრულებას ყველა მაჩვენებლის მიხედვით, აღნიშნა სვერდლოვსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ო. ი. ლობოვმა**. მან დიდი ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა დაიხვეწოს მართვა, განხორციელდეს საწარმოთა რეკონსტრუქცია ურალის მცირე ქალაქებში.

სკკპ ლიპეცკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ი. ა. მანაენკოვმა** გააშუქა ტექნიკური რეკონსტრუქციის პრობლემები. ორატორმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სახმშენმა, შრომსახკომმა მიზანშეწონილია განიხილონ საკითხი, რათა გაძლიერდეს მშენებელთა და მემონტაჟეთა მატერიალური დაინტერესება რეკონსტრუქციის მოწყობით, მეტადრე მოქმედი წარმოების პირობებში.

ეროვნებათა საბჭოში

14 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში დაიწყო ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს **ე. ა. შევარდნაძეს, ვ. მ. ჩებრიკოვს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ს. ლ. სოკოლოვს, მ. ვ. ზიმიანინს, ვ. პ. ნიკონოვს.**

სხდომა მიმდინარეობდა **ა. ე. ვოსის** თავმჯდომარეობით.

შეკრებილებმა პატივი მიაგეს სესიებს შორის გარდაცვლილი დეპუტატების ვ. თ. გარბუზოვისა და ვ. პ. მაკეევის ხსოვნას.

სამანდატო კომისიის მოხსენება ახლად არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმების შესახებ გააკეთა ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ **ო. ხ. მიროშხინმა**. მოხსენების გამო მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

პალატის სხდომაზე შეიტანეს ცვლილებანი პალატის ზოგიერთი მუდმივი კომისიის შემადგენლობაში. ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი ბ. კ. პუგო.

ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების თანამოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1985 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ნ. ი. მასლენიკოვმა.**

სესიაზე განხილული დოკუმენტები, თქვა მან, შემუშავებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის მითითებათა შესაბამისად. 1986 წლის — მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა და ბიუჯეტი დიდი ნაბიჯია პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გზაზე.

პალატების მუდმივმა კომისიებმა წინასწარ განიხილეს ქვეყნის 1986 წლის გეგმა და ბიუჯეტი, გააანალიზეს წლევანდელ საგეგმო დავალებათა შესრულების მიმდინარეობა, გამოძებნეს იმის შესაძლებლობა, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა გადიდდეს 182,9 მილიონი მანეთით საცალო ფასებით.

აღნიშნული შესწორებების გათვალისწინებით ორატორმა წინადადება წამოაყენა დაამტკიცონ სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 414.544.276 ათასი მანეთის ოდენობით, გასავლის ნაწილში 414.341.861 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 202.415 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუდმივმა კომისიებმა დიდი ყურადღება მიაპყრეს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარების ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის — ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების შესრულების ანალიზს, დეპუტატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დღეს ვერ შევურიგდებით ამ გეგმების სისტემატურ შეუსრულებლობას, უნდა ვიღვაწოთ, რათა ახალი ტექნიკის დარგში დავალებანი ნამდვილად სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის საფუძველი გახდეს.

კომისიებმა გულდასმით განიხილეს მანქანათმშენებლობის — სახალხო მეურნეობის ტექნიკური განახლების ბაზის განვითარების საგეგმო დავალებანი. დიდი მუშაობა უნდა განხორციელდეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების გამოყენების მასშტაბის გაფართოება მართვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის გადიდების მნიშვნელოვანი პირობაა, და თქვა, რომ ამ საკითხში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა კვლავ სამშენებლო კომპლექსში არსებული ვითარება. დეპუტატთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ნელი ტემპი.

სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმილ ტემპს ვერ მივაღწევთ, თუ არ გავწიეთ რესურსების მკაცრი ეკონომია. ამოცანა ისეა დასახული, რომ 75-80 პროცენტით დაკმაყოფილდეს რესურსებზე მოთხოვნილებების მატება მათი ეკონომიის გზით.

დეპუტატებმა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა გაზარდონ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა, რაციონალურად გამოიყენონ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომლებიც ხმარდება სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებას.

1986 წელს დასახულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების შემდგომი ზრდა.

კომისიების დასკვნებში გამოყოფილია კარი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების შესახებ და ჩამოყალიბებულია იმ ღონისძიებათა განხორციელების რეკომენდაციები, რომელთა მიზანია შრომის საერთაშორისო დანაწილებაში სსრ კავშირის მონაწილეობის ეფექტიანობის გადიდება.

სსრ კავშირის გეგმისა და ბიუჯეტის მაჩვენებლები, აღნიშნა დასასრულ დეპუტატმა, შეესაბამება პარტიის სტრატეგიულ კურსს, რომლის მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.

კამათი გახსნა უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ვ. გ. ბოიკომ. შეაფასა რა სახელმწიფო გეგმის პროექტი, მან თქვა, რომ ნოვატორული, აღმშენებლობითი პოლიტიკა ქმნის კოლექტიური ძიებისა და თითოეულის ინიციატივის ატმოსფეროს საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში.

ილაპარაკა რა ოლქის მშრომელთა წარმატებებზე, ორატორმა აღნიშნა, რომ მიღწეული, განსაკუთრებით ინდუსტრიის საბაზო დარგებში, კადრებთან მუშაობის გარდაქმნაში, ჯერ კიდევ არ შეესაბამება მზარდ მოთხოვნებს. დღეს, როდესაც ახლებურად წყდება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის პრობლემა, დიდად დროა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ადგილობრივი საბჭოების როლი. დეპუტატმა წინადადება შემოიტანა გადაისინჯოს სასოფლო და სადაბო საბჭოს კანონი.

(დასასრული მე-4 გვ.).

დაჩქარებისა და პროგრესის კურსით

(დასასრული)

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა **ვ. ი. კაზაკოვმა** აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ბევრი მაჩვენებლის მიხედვით ზრდის უფრო სწრაფი ტემპია დასახული. გათვალისწინებულია, მთელი მატება მიღებულ იქნეს მომუშავეთა რიცხვის გაუდიდებლად. მნიშვნელოვნად გაიზრდება ნავთობის, ქვანახშირისა და გაზის მოპოვება, გაგრძელდება ბამის ზონის სამეურნეო ათვისება.

შემდეგ ორატორმა თქვა, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურისა და მართვის სრულყოფის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებანი ქმნის იმის პირობებს, რომ გაიზარდოს ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა სურსათით მოსახლეობის მომარაგებისათვის.

17 წელიწადია მუშაობს სოფლის მეურნეობაში ცელინოგრადის ოლქის კურგალჯინსკის რაიონის ამანგელდის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი დეპუტატი **ნ. ვ. გელერტი**. დღეს, თქვა მან, ზრდის ტემპი, განსაკუთრებით თვისებრივი მაჩვენებლები, ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. უკანასკნელი სამი წელია მხვნელ-მთესველთა შრომის ნაყოფს აქარწყლებს სასტიკი გვალვა. ჩვენ განუწყვეტლივ ვეძებთ გზებს, თუ როგორ უზრუნველვყოთ ამინდის რთულ პირობებში სტაბილური მოსავალი. მაგრამ შინაგანი რეზერვები სრულად არ გამოიყენება. პირდაპირ ვიტყვი: სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ბევრ უბანზე ჯერ კიდევ სუსტია ტექნოლოგიური დისციპლინა, ყველგან როდი ეკიდებიან მზრუნველად მიწას. დეპუტატმა თავისი ამომრჩევლების სახელით გამოთქვა სურვილი დაჩქარდეს ობიექტების რეკონსტრუქციისა და გაფართოების საკითხთა გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია სასმელი წყლით რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგებასთან, შეიქმნას სოფლებში სპეციალიზებული კომუნალური სამსახური.

სსრ კავშირის ჩარხსაშენებლო და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრმა დეპუტატმა **ბ. ვ. ბალმონტმა** აღნიშნა, რომ დარგში სრული მოცულობით არ წყდება ტექნიკური პროგრესის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. ჯერ კიდევ ყველა სახეობის პროდუქცია როდი შეესაბამება თავისი ტექნიკური დონითა და ხარისხით მანქანათმშენებლობის განვითარების საარსებო ამოცანებს. მანქანათმშენებლობის მძლავრი აღმავლობის უზრუნველყოფაში ჩარხმშენებლობის როლის შესაბამისად დარგში გათვალისწინებულია კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდოს წარმოება მთლიანად მანქანათსამშენებლო კომპლექსთან შედარებით.

მევუსატყვისოთ პრაქტიკული მუშაობა პარტიის მოთხოვნებს — ასეთია დღეს ამოცანა, განაცხადა აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ფ. ე. მუსაევმა**. ორატორი დაწვრილებით შეეხო, კერძოდ, პრობლემებს, რომლებსაც მენავთობენი წყვეტენ. აზერბაიჯანში ნავთობმოპოვების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის უნდა გადაწყდეს მთელი რიგი საწარმოო საკითხები, უპირველესად სარეწების ახალი ტექნიკით აღჭურვის საკითხი. ბაქოელი მანქანათმშენებლები ჯერჯერობით ვალში არიან ქვეყნის სხვა რეგიონების ნავთობმომპოვებელთა წინაშეც. დეპუტატმა განაცხადა, რომ ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი და მდგომარეობა გამოსწორდება.

მეთერთმეტე ხუთწლედის წლებში, თქვა მოლდავეთის სსრ სტრაშენის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგემ დეპუტატმა **რ. ვ. სერებრიანსკაიამ**, რესპუბლიკაში გრძელდებოდა საავადმყოფოების, საექიმო ამბულატორიების, ჯანმრთელობის დაცვის სხვა ობიექტების მშენებლობა. მაგრამ საარსებო მნიშვნელობის ამოცანების შესრულებას აბრკოლებს ნაკლოვანებანი. კერძოდ, სამკურნალო დაწესებულებებს ძალზე სჭირდებათ შრომის მცირე მექანიზაციის საშუალებანი, ხარისხოვანი სპეციალური მოწყობილობა და ავეჯი. გადასაჭრელია სამკურნალწამლო საშუალებებისა და სამედიცინო ნაწარმის გამოშვების გაფართოებისა და გადიდების პრობლემა.

მეთერთმეტე ხუთწლედი დიდმნიშვნელოვანი მიჯნა გახდა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში, თქვა ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა **გ. პალაევმა**. მაგრამ რეზერვები კიდევ მრავლად გვაქვს. ამ ბოლო წლებში ძნელი მდგომარეობა შეგვექმნა ხამი ბამბის წარმოების მხრივ. გადასაჭრელია ბევრი რთული პრობლემა საცხოვრებელი ბინების, სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში.

დეპუტატმა მხურვალე მადლობა მოახსენა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებს, რომლებმაც უდიდესი დახმარება გაუწიეს ტაჯიკეთის ლენინაბადის ოლქში მომხდარი მიწისძვრის დროს.

სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრმა დეპუტატმა **ვ. მ. კამენცევმა** ილაპარაკა დარგის მუშაობის ძირეული გარდაქმნის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გემების არამწარმოებლური მოცდენის შემცირებას, არსებულ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებას, უწინარეს ყოვლისა — საგუბურე მეურნეობების და ნაპირის საწარმოებისა.

მეთორმეტე ხუთწლედში, თქვა ერევნის საწარმოო გაერთიანება „ელექტროხელსაწყოს" მეინსტრუმენტე ზეინკალთა ბრიგადირმა, დეპუტატმა **ე. ტ. არუთინიანმა**, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალ, უფრო მაღალ მიჯნებს. ჩვენი გაერთიანების მრავალათასიანმა კოლექტივმა, თქვა შემდეგ დეპუტატმა, ვალდებულება იკისრა მეთორმეტე ხუთწლედში მთლიანად განაახლოს პროდუქცია. ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდება ნაწარმის ლითონტევადობა, გაუმჯობესდება ხანგამძლეობის და საიმედოობის მაჩვენებლები.

ლატვიის სსრ სტუჩკის რაიონის პლიავინის სკოლის დირექტორმა, დეპუტატმა **ე. ი. კუპჩამ** ილაპარაკა დადებითს ცვლილებებზე, რომლებიც რესპუბლიკაში მოხდა სკოლის რეფორმის განხორციელების დროს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა საწარმოებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით გაეთვალისწინებინათ სკოლების დახმარება მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში. ყოვლად შეუწყნარებელია, რომ ხშირად ყოვნდება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობა, ჯეროვნად არ წყდება ახალი საგნის — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლების საკითხები.

სკკპ მომავალი XXVII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თურქმენეთის მშრომელებმა საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალ სფეროში, თქვა პარტიის ჩარჯოუს საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **რ. ბუდაიბერდიევმა**. შედეგები უკეთესი გვექნებოდა, ყველა რეზერვი რომ აგვემოქმედებინა. დეპუტატმა დაწვრილებით გააშუქა რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა ინტენსიური და კომპლექსური გამოყენების პრობლემები.

1986 წლის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, თქვა ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ბ. ე. საულმა**, ამიტომ რესპუბლიკის მშრომელებს თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ, არათუ შეასრულონ დასახული, არამედ გადაჭარბებითაც გაანაღდონ დავალებანი. ეს განსაკუთრებით ეხება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ა. კოპტიუგმა** თქვა, რომ ციმბირის განყოფილების სამეცნიერო ორგანიზაციებში მნიშვნელოვანი მეცნიერული მარაგნაკეთია დაგროვილი. უკვე შექმნილია და ასამოქმედებლად მზადდება რამდენიმე სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსი და ცენტრი. მაგრამ მეცნიერულ პოტენციალს მხოლოდ მაშინ გამოვიყენებთ სრულად, თუ დავაჩქარებთ საცდელ-საწარმოო ბაზის ზრდას.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაძღოლის ინტენსიური ფაქტორები, მეცნიერების მიღწევათა დანერგვა შესაძლებლობას გვაძლევს მივაღწიოთ მოსავლიანობის სტაბილურ ზრდას, მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობას. ამაზე ილაპარაკა თავისი მეურნეობის მაგალითით თათრეთის ასს რესპუბლიკის გაზეთ „სოციალისტიკ თათარსტანის" სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ხ. გ. გალიმულინმა**. ორატორმა შეკრებილთ გაუზიარა აგრეთვე სოფლის ყრილობების მოწყობის გამოცდილება.

შეეხო რა მხარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემებს, დეპუტატმა **ვ. ს. პასტერნაკმა** თვითკრიტიკულად შეაფასა ხაბაროვსკის სახალხო დეპუტატთა სამხარეო საბჭოს აღმასკომის საქმიანობა, რომელსაც იგი უძღვება. მხარეში ვერ მოხერხდა აემოქმედებინათ ეკონომიკის, კულტურისა და სოციალური სფეროს [illegible] რების ყველა არსებული რეზერვი.

მოხა[illegible] თქვა ქალაქ უსტინოვის საბინაო-სამშენებლო სამმართველოს მებათქაშეთა ბრიგადირმა დეპუტატმა **ნ. ნ. მიტროფანოვამ**, რომ ჩვენმა კოლექტივმა ჯერ კიდევ მაისში შეასრულა ხუთწლედის დავალებანი. ჩვენ, მშენებლებს, ყველაზე მშვიდობიანი პროფესია გვაქვს, და ყველანი მხურვალედ ვუჭერთ მხარს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკას, რომლის მიზანია დაამკვიდროს მშვიდობა მსოფლიოში.

უზბეკეთის კომპარტიის ბალიქჩის რაიკომის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ა. მუმინოვმა**, ისევე როგორც სხვა ორატორებმა, მოიწონა მომავალი წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები. მან გააშუქა მებამბეობის განვითარების საკითხები, რომლებიც დიდად მექანიზებულ დარგში ხდება. მაგრამ ამ შრომატევად დარგში სამუშაოთა მექანიზაციის ტემპი არ არის საკმარისი.

შემდეგ გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, დეპუტატი **თ. ვ. გამყრელიძე** (სიტყვა დაიბეჭდება გაზეთის შემდეგ ნომერში).

(საქდესი).

ხალხთა სულიერი დაახლოებისათვის

ბუდაპეშტში დამთავრდა კულტურული ფორუმი

ბუდაპეშტი. უნგრეთის დედაქალაქში დამთავრდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის მონაწილე ქვეყნების კულტურული ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის 33 ქვეყნის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ხელოვნების მოღვაწენი. მათ განიხილეს შემოქმედების, კულტურულ ღირებულებათა გავრცელების, თანამშრომლობის პრობლემები, მათ შორის კულტურის სხვადასხვა დარგში კონტაქტებისა და გაცვლის გაფართოება-განვითარების საკითხები.

ფორუმმა შესაძლებლობა მისცა მონაწილეებს ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ აზრი ევროპის კონტინენტის კულტურული განვითარების გზების, მშვიდობისათვის ბრძოლაში კულტურის მოღვაწეთა როლის, იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს კულტურული თანამშრომლობის განვითარება-გაფართოებისათვის, კულტურისა და ხელოვნების შემდგომი დემოკრატიზაციისათვის.

საბჭოთა ხელოვნების უმნიშვნელოვანესი მიზანია ხალხთა თვითშეგნებაში დაამკვიდროს მშვიდობის კეთილშობილური იდეალები, აღზარდოს მასები ჰუმანიზმის, სხვა ხალხთა კულტურული ღირებულებებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა საბჭოთა დელეგატების გამოსვლებს ფორუმზე. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა ხელოვნება ემსახურება ხალხთა სულიერი დაახლოების საქმეს, მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

კულტურული ფორუმის შედეგები შეიძლება დადებითად მივიჩნიოთ, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა დელეგაციის მეთაურის მოადგილემ, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ გ. ა. ივანოვმა. დისკუსიამ ფორუმზე ძირითადად საქმიან სერიოზულ ატმოსფეროში ჩაიარა, აღნიშნა მან. სავსებით ბუნებრივია, რომ მისი მონაწილეები სხვადასხვა იდეოლოგიურ და შემოქმედებითს პოზიციას აღგანან. დასავლეთის მთელი რიგი დელეგაციები შეეცადნენ გამოეყენებინათ მათს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული კულტურის მოღვაწენი სოციალიზმის ქვეყნების კულტურის შესახებ სიცრუისა და ცილისწამების გასავრცელებლად.

მათ მტკიცე და არგუმენტირებული პასუხი გასცეს სოციალისტური ქვეყნების კულტურის მოღვაწეებმა. დიდი და რეალური პრობლემების გადაწყვეტით სწორედ ამ ერთობლივმა დაინტერესებამ წინასწარ განსაზღვრა კულტურული ფორუმის პოზიტიური შედეგები.

● პორტუგალია

დაინიშნა არჩევნების თარიღი

ლისაბონი. პრეზიდენტის არჩევნები პორტუგალიაში გაიმართება გაისად 26 იანვარს. ეს თარიღი დანიშნა სახელმწიფოს მეთაურმა რამალიუ ეანეშმა რესპუბლიკის კრების (პარლამენტის) თავმჯდომარესთან, აგრეთვე იუსტიციის უმაღლესი ტრიბუნალის, ეროვნული საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელებთან და ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ.

პორტუგალიის კონსტიტუციის თანახმად, ახლანდელ პრეზიდენტს რამალიუ ეანეშს უფლება არა აქვს ხელმეორედ მესამეჯერ იყაროს კენჭი ამ პოსტზე. მართალია, თავისი კანდიდატურა ათზე მეტმა მოღვაწემ წამოაყენა, მაგრამ ძირითადი ბრძოლა, პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, მოუწევს ხუთ პრეტენდენტს, მათ შორის არის პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრი ანჟელუ ველოზუ.

გენერალურ ასამბლეაში

მიუმხრობელი ქვეყნების მოწოდება

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაიწყო ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების საკითხის განხილვა.

როგორც ცნობილია, ამ საკითხთან დაკავშირებით დაძაბული ვითარებაა იმის გამო, რომ ლონდონი აშკარად უარს ამბობს ყურად იღოს საერთაშორისო გაერთიანების მოწოდება და არგენტინის მთავრობასთან მოლაპარაკების გზით მიაღწიონ პრობლემის მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებას.

გენერალური ასამბლეის განსახილველად წარმოდგენილია 7 მიუმხრობელი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტი, რომელშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად ინგლისსა და არგენტინას კვლავ მოუწოდებენ შეუდგნენ მოლაპარაკებას გადაუჭრელი პრობლემების მშვიდობიანი და საბოლოო მოწესრიგების საშუალებათა ძიების მიზნით. არგენტინა მთლიანად უჭერს მხარს ასეთ გადაწყვეტილებას, რომელსაც საფუძვლად უდევს ტერიტორიული მთლიანობის, ძალით ტერიტორიების დაპყრობის დაუშვებლობის პრინციპები, თვითგამორკვევის უფლება, განაცხადა არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დანტე კაპუტომ.

● იტალია

სასამართლო პროცესი განახლდა

რომი. აქ განახლდა სასამართლო პროცესი რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურზე იოანე პავლე მეორეზე თავდასხმის საქმის გამო. 15-დღიანი შესვენება იმისთვის გაკეთდა, რომ სასამართლოს თავმჯდომარეს ს. სანტიაპიკის და პროკურორს ა. მარინის შეძლებოდათ ჩასულიყვნენ თურქეთში და დაეკითხათ მთელი რიგი მოწმეები ამ საქმის გამო.

რომის პროცესი უკვე ნახევარი წელიწადია გრძელდება, ხოლო მთელი სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იტალიის ხელისუფლებმა შეიპყრეს და დააპატიმრეს ბულგარელი მოქალაქე სერგი ანტონოვი. ყველა ბრალდება ანტონოვისა და სხვა ბულგარელების მიმართ ემყარება მხოლოდ თურქი ტერორისტის ალი აღჯას ცრუ „მტკიცებებს", რომელმაც რომის პაპს ესროლა. სასამართლო გარჩევის დროს აღჯამ ყველაფერი გააკეთა, რათა გზაკვალი აერია გამოძიებისათვის. იგი წამდაუწუმ ურევდა ჩვენებებს, ერთი ტყუილი მეორეს ცვლიდა.

სასამართლოს ყოველი სხდომის შემდეგ სულ უფრო ნათელი ხდება თურქი ნეოფაშისტის მტკიცებათა უსაფუძვლობა, თითქოს თავდასხმაში გარეული იყვნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქენი. ამას ადასტურებს იტალიის სასამართლო მოხელეების მიერ თურქეთში ყოფნისას დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებიც, ერთმა მათგანმა — ა. უღუოლუმ მთლიანად გააქარწყლა აღჯას ყველა ჩვენება. მეორე მოწმემ — ო. მერსანმა პირდაპირ უწოდა აღჯას „ცილისმწამებელი". ეტყობა, თვად რომის პროცესის ორგანიზატორებსაც გვარიანად მობეზრდათ აღჯას სიცრუის მოსმენა. თვით პროკურორმა ა. მარინიმ პროცესს „სიცრუის ბაზრობა" უწოდა.

„ბულგარული ვერსია" (მონაწილეობა თავდასხმაში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა „მონაწილეობის" შესახებ — საქდესის კორ. შენ.), რომელიც აღჯას ათქმევინეს, არც ერთ ჭკუათამყოფელ ადამიანს არ სჯერა, წერს რომის გავლენიანი გაზეთი „რეპუბლიკა". მეორე მხრივ, ვლინდება სულ ახალი მონაცემები იმის თაობაზე, რომ შეთქმულება რომის პაპის მოკვლის მიზნით საგულდაგულოდ დაგეგმა და განახორციელა თურქთა „რუხი მგლების" ნეოფაშისტურმა დაჯგუფებამ. გამოირკვა, რომ სულ ცოტა კიდევ ათი თურქი ექსტრემისტი ასრულებდა სხვადასხვა დავალებას თავდასხმის მომზადებისას.

სასამართლოს მორიგ სხდომებზე დაეკითხავენ კიდევ ექვს მოწმეს, მათ შორის კარაბინერებს, რომლებიც 1981 წლის 13 მაისს მორიგეობდნენ წმინდა პეტრეს მოედანზე. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: გამოიძახოს თუ არა მოწმეებად იტალიის საიდუმლო სამსახურის „სისმის" დირექტორის ყოფილი მოადგილე გენერალი პ. მუზუმეჩი და ნეაპოლის მაფიის ერთ-ერთი მეთაური ჯ. პანდიკო. ამ უკანასკნელმა დაუფარავად თქვა, რომ „ბულგარული ვერსია" აღჯას იტალიის სპეცსამსახურებმა „უკარნახეს".

თვით აღჯა იძულებული იყო ეღიარებინა, რომ საპატიმროში ხვდებოდა გარკვეულ პირებს, რომლებმაც „თანამშრომლობა სთხოვეს და სამაგიეროდ დაჰპირდნენ უცხოურ პასპორტს და თავისუფლებას". მათ შორის იყო აგრეთვე საერთაშორისო აფერისტი ფ. პაციენცა, რომლის კავშირიც დასავლეთის საიდუმლო სამსახურებთან, ანსას სააგენტოს თქმით „აშკარაა".

სოფია. აქ გაიმართა სოფიის ახალგაზრდობის შეხვედრა ს. ანტონოვის დასაცავად ბულგარეთის ეროვნული კომიტეტის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბულგარეთის მოქალაქისათვის წაყენებული ბრალდებები ყოვლად უსაფუძვლოა. ყოველი ჭკუათამყოფელი კაცი მიხვდება, რომ რომის პროცესი უხეში პოლიტიკური პროვოკაციაა.

ს. ანტონოვის სახელს მთელი ამ წლების მანძილზე დასავლეთში იყენებენ ბულგარეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ გაჩაღებული უპრეცედენტო ცილისმწამებლური კამპანიისათვის, წერს „რაბოტნიჩესკო დელო". შეთითხნილი ბრალდებები პროცესზე „დაამტკიცა" ერთმა სახელგატეხილმა ტერორისტმა, თუმცა მილიონობით ადამიანისათვის უკვე ახლა აშკარაა, თუ ვინ და რა მიზნით უჭერს მხარს ცილისმწამებლურ ვერსიას. ბულგარეთის საზოგადოებრიობას, ხაზს უსვამს გაზეთი, სწამს, რომ ჭეშმარიტება, ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

27 ნოემბერი ● საქდესი იუწყება

● ავღანეთი

სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით

ქაბული. აქ გაიმართა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი შემადგენლობის თათბირი, რომელზეც შეაჯამეს ავღანეთის არმიის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შედეგები.

სამხედრო მოსამსახურეთა წინაშე გამოვიდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ბ. ქარმალი. მან თქვა, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალები იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში არიან, რომლებიც ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ გამოუცხადებელ ომს ეწევიან. ავღანელმა ჯარისკაცებმა მთელ რიგ დამაჯერებელ გამარჯვებებს მიაღწიეს კონტრრევოლუციის ბანდებთან შეტაკებებში, კერძოდ, ჰოსტასა და გერათში.

ავღანეთის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარის პირადი შემადგენლობის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მომზადებას, კადრების შერჩევისა და განაწილების პოლიტიკას. მან თქვა, რომ ავღანეთის ჯარის პირადი შემადგენლობა უნდა აღიზარდოს სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით.

ბ. ქარმალმა განაცხადა, რომ ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარეშე კონტრრევოლუციის ხელყოფისაგან სახელმწიფო საზღვრების დაცვის საკითხი. საზღვრისპირა ტომების უმაღლესი ჯირგის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, თქვა მან, სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის სასაზღვრო ჯარების განმტკიცებას, მოსახლეობაში აქტიურ განმარტებით მუშაობას.

● ახალი ზელანდია

არ იქნებიან დეპორტირებული

კანბერა. საფრანგეთის დაზვერვის აგენტები ალან მაფარი და დომინიკ პრიერი, რომლებიც მონაწილეობდნენ დივერსიაში გემ „რეინბოუ უორიორის" წინააღმდეგ ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდის ყურეში, სასჯელს მოიხდიან ახალ ზელანდიაში და დეპორტირებული არ იქნებიან სამშობლოში, განაცხადა ველინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ლონგიმ.

მან აღნიშნა, რომ პრესაში გავრცელებული ჭორებისა და ოფიციალური პარიზის წარმომადგენელთა გამონათქვამების მიუხედავად, დივერსანტებს არ გაათავისუფლებენ, სანამ ახლანდელი მთავრობა სათავეში უდგას ხელისუფლებას.

ორ მზვერავს მიუსაჯეს 10-10 წლის თავისუფლების აღკვეთა.

ფოტოფაქტი

თავისუფლება ნ. მანდელას!

ლონდონი. „შეწყდეს დანაშაულებრივი კავშირურთიერთობანი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან!", „თავისუფლება ნელსონ მანდელას!" — წარწერილია დემონსტრაციის მონაწილეთა ტრანსპარანტებზე. მანიფესტაცია მოეწყო მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „აპარტეიდის წინააღმდეგ მოძრაობის" ინიციატივით და მონაწილეობდა 100 ათასამდე კაცი. მანიფესტანტთა პირველ რიგებშია ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ჯ. ჯექსონი (ცენტრში).

● დანია

მთავრობის გადაწყვეტილება

კოპენჰაგენი. დანიის მთავრობამ გადაწყვიტა ამა წლის პირველი დეკემბრიდან დახუროს თავისი გენერალური საკონსულო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და ამრიგად მთლიანად გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა აპარტეიდის რეჟიმთან. ეს განაცხადა პარლამენტში გამოსვლისას დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უფე ელემან-ენსენმა.

დღეს დანიის პარლამენტის დეპუტატები განიხილავენ მთავრობის წინადადებებს, რომელთა მიზანია პრეტორიელ რასისტებთან კავშირურთიერთობის შეზღუდვა. ამას წინათ ქვეყნის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირმა ბოიკოტი გამოუცხადა სამხრეთაფრიკულ საქონელს და მის მომსახურებას. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა დანიის ნავსადგურებისა და რკინიგზის სადგურების ათასობით მუშა-მოსამსახურემ.

დემოგრაფია

● **ანკარა.** აქ გამოქვეყნდა თურქეთის მოსახლეობის აღწერის შედეგები. ქვეყნის მოსახლეობამ მიაღწია 51 მილიონ 428 ათას 944-ს. ყველაზე დიდი ქალაქია სტამბოლი, სადაც 5 მილიონ 856 ათას 745 მცხოვრებია. იგი პირველობს მოსახლეობის ზრდის ტემპითაც. ამავე მაჩვენებლების მიხედვით, მეორე ადგილზეა რესპუბლიკის დედაქალაქი ანკარა — 3 მილიონ 462 ათას 880 მცხოვრები.

● **იაუნდე.** კამერუნის მოსახლეობამ 10 მილიონს გადააჭარბა. როგორც ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული კომისია იუწყება, ამ აფრიკული სახელმწიფოს მცხოვრებთა 56 პროცენტს 25 წლამდე ახალგაზრდობა შეადგენს. ამჟამად კამერუნში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 50 წელზე მეტია, მაშინ როდესაც 1963 წელს იგი უდრიდა მხოლოდ 37 წელს. კომისიის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის მზადება, რომელიც კამერუნში 1986 წლის დამდეგს გაიმართება.

ყაბახი

დიდი ფეხბურთის პრიზები

ტრადიციისამებრ საფეხბურთო სეზონის ბოლოს ცნობილი ხდება ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დაწესებული პრიზების ლაურეატთა ვინაობა. უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ამჯერად პრიზები ასე განაწილდა:

გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი დაწესებულია საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის მიერ და განკუთვნილია გუნდისათვის, რომელიც ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს. ამ ჯილდოს დაეუფლა **მოსკოვის „სპარტაკი"**, რომელმაც განვლილ სეზონში 72 ბურთი გაიტანა.

პრიზი საუკეთესო ბომბარდირს (გაზეთი „ტრუდი") გადაეცემა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" 21 წლის თავდამსხმელს **ოლეგ პროტასოვს**, რომელმაც 35 ბურთი გაიტანა.

დიდი ანგარიშის პრიზი (ყოველკვირეული „ფუტბოლ-ხოკეი") გადაეცემა გუნდს, რომელიც ჩემპიონატის მატჩებში ყველაზე მეტ გამარჯვებას მოიპოვებს სამი და მეტი ბურთის სხვაობით. ამ პრიზს დაეუფლა **მოსკოვის „სპარტაკი"**, რომელმაც 11 ასეთი მატჩი მოიგო.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზი განკუთვნილია გუნდისათვის, რომლის ძირითადი და დუბლიორთა შემადგენლობანი ჯამით ქულათა ყველაზე მეტ რაოდენობას დააგროვებს. ეს ჯილდო წილად ხვდა **კიევის „დინამოს"**, რომელმაც 85 ქულა დააგროვა.

პრიზი საუკეთესო სხვაობისათვის (უკრაინის ჟურნალი „სტარტი") გადაეცემა **მოსკოვის „სპარტაკს"**, რომელმაც 72 ბურთი გაიტანა, საკუთარ კარში მიიღო 28 და სხვაობამ შეადგინა +48 ბურთი.

პრიზი „პროგრესის თასი" (უკრაინის „რაბოჩაია გაზეტა") გადაეცემა გუნდს, რომელიც გათამაშების ცხრილში ყველაზე მეტი ადგილით გადაინაცვლებს. პრიზი გადაეცემა **კიევის „დინამოს"**.

პრიზი ავტორიტეტთა რისხვა (ყოველკვირეული „სპორტივნაია მოსკვა") პრიზიორთა წინააღმდეგ შეხვედრებში ყველაზე მეტი ქულის დაგროვებისათვის გადაეცემა **თბილისის „დინამოს"**. თბილისელებმა პრიზიორებთან შეხვედრებში 12 შესაძლებლიდან 6 ქულა დააგროვეს.

პრიზი „აგრესიული სტუმარი" (უკრაინის გაზეთი „კომსომოლსკოე ზნამია") მეტოქეთა მოედნებზე ყველაზე მეტი ქულის დაგროვებისათვის მიეკუთვნა **კიევის „დინამოს"**. 17 გასვლითს მატჩში კიეველებმა 20 ქულა დააგროვეს.

პრიზი „იერიშის რაინდი" („ჟურნალი „სოვეტსკი ვოინი") გადაეცემა ფეხბურთელს, რომელიც სხვებზე ხშირად თითოეულ მატჩში სამ და უფრო მეტ ბურთს გაიტანს. ეს პრიზი გადაეცემა **ოლეგ პროტასოვს**, რომელმაც „ფაქელის" კარში 4 ბურთი გაიტანა, 3-3 — მოსკოვის „ტორპედოს", „შახტიორისა" და „ყაირათის" კარში.

სამართლიანი თამაშის პრიზი (ჟურნალი „ჩელოვეკ ი ზაკონ") გადაეცემა გუნდს, რომლის მოთამაშეები სეზონის განმავლობაში ყველაზე ნაკლებად დაარღვევენ დისციპლინას. წლეულს ეს პრიზი გადაეცემა **„დნეპრს"**. გუნდს ყველაზე ნაკლები — 5 გაფრთხილება ჰქონდა.

პრიზი საუკეთესო მეკარეს (ჟურნალი „ოგონიოკი") მიეკუთვნა სპარტაკელ **რინატ დასაევს**. მან ეს პრიზი უკვე მეოთხედ მოიპოვა.

პრიზი დუბლიორთათვის (სსრ კავშირის სპორტკომიტეტი) მოიპოვა **კიევის „დინამომ"**, რომელმაც 37 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

მატჩი „დინამოს" სტადიონზე

გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა უეფას თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკისა" და საფრანგეთის „ნანტის" ფეხბურთელებს შორის. მატჩი დამთავრდა საფრანგეთის გუნდის გამარჯვებით — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი სპარტაკელთა კარში 77-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა პიერ მორისმა. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ქალაქ ნანტში 11 დეკემბერს.

ჭადრაკის დაფებთან

შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში დამთავრებული ვაჟთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ გფრ-ის ნაკრებს. ჩვენმა გუნდმა ეს მატჩი მოიგო ანგარიშით 3,5:2,5. დანარჩენი შეხვედრები კი ასე დამთავრდა: აფრიკის ნაკრები-უნგრეთი — 1:5, ინგლისი-შვეიცარია — 2:4, რუმინეთი-არგენტინა — 3:3, ჩინეთი-საფრანგეთი — 2,5:3,5. ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა 37,5 ქულა დააგროვა და მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე უძლიერესის წოდება მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ უნგრელები — 34,5 ქულა, მესამეზე — ინგლისელები — 30,5. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: რუმინეთი და საფრანგეთი — 28,5-28,5, შვეიცარია — 27,5, ჩინეთი — 27, არგენტინა — 25,5, გფრ — 23,5, აფრიკა — 7 ქულა.

ერევანში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. 9 ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება და ახლა შეჯიბრების ლიდერების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: მ. ლიტინსკაიას 7 ქულა აქვს, ნ. გაფრინდაშვილს კი 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ნ. გურიელს 6 ქულა აქვს.

კოტოვის მემორიალზე, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს, დამთავრდა უკანასკნელი ტურის წინ გადადებული პარტიები. პირველი ადგილის საკითხი გადაწყვეტილია — გურევიჩმა დააჭარბა ჰორ, 7,5 ქულა დააგროვა და უკანასკნელი ტურის პარტიის შედეგის მიუხედავად, ვერავინ დაეწევა. ბოლო ტურში გურევიჩი ფინელ რანტანენს ხვდება, რომელმაც დღემდე ათივე პარტია ყაიმით დაასრულა. გურევიჩს სწორედ ნახევარი ქულა სჭირდება, რათა დიდოსტატის მეორე ბალი მოიპოვოს (პირველი მან სექტემბერში, იურმალაში მოიპოვა) და ეს უმაღლესი წოდება მიიღოს. გიორგაძე-ლანჩის, დრაჟკო-ლანჩისა და გურგენიძე-შაბანოვის პარტიები ყაიმით დასრულდა. საკითხს, თუ ვის დარჩება მეორე და მესამე საპრიზო ადგილები, მხოლოდ უკანასკნელი ტური გადაწყვეტს.

მოკლედ

ძიუდო. ნოვოსიბირსკში დამთავრებულ 22 წლამდე ასაკის ძიუდოისტთა საკავშირო შეჯიბრებაზე სხვებთან ერთად პირველი ადგილები მოიპოვეს გორელმა ე. გოგიჩაშვილმა (78 კგ-მდე წონა) და თბილისელმა კ. კურტანიძემ (95 კგ-ზე ზევით). უძლიერესი იყო აგრეთვე ჩვენი თანამემამულე ნ. მისაბლიშვილი (71 კგ), რომელიც ქალაქ ვინიცის სპორტსმენთა ღირსებას იცავდა.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, წერილების — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

28 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.50 — ნორჩთა შემოქმედება. 10.10 — ცხოველთა სამყაროში. 11.10 — მხატვრული ფილმი „ორი სტრიქონი წვრილი შრიფტით". 12.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.40 — ფილმ-კონცერტი. „კომპოზიტორი ვლადიმერ რუბინი". 17.25 — ახალი ამბები. 17.30 — კინონარკვევი „იუგოსლავია. რესპუბლიკის დღე". 18.20 — ფ. ენგელსის ცხოვრება. 19.05 — მხიარულ ტალღაზე. 19.15 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 20.35 — ახალი ამბები. 20.40 — „რით ვეგებებით ყრილობას". 21.00 — დოკუმენტური ფილმი „კონსტანტინე სიმონოვი". I სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „კონსტანტინე სიმონოვი". II სერია. 23.25 — დღეს მსოფლიოში. 23.40 — საღამოს მელოდიები. მღერის ი. სურუჩანუ.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 — ნ. გოგოლის ცხოვრება და შემოქმედება. 10.35 — ესპანური ენა. 11.05 — სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ისტორია. 11.35 — ზოოლოგია. მე-7 კლასი. 12.00 — ჩვენი ბაღი. 13.05 — რ. ბერნსის ცხოვრება და შემოქმედება. 14.35 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „გამოძიებით დადგენილია". 16.05 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — რიტმული ტანვარჯიში. 19.45 — ჰოკეი. „სპარტაკი"-ცსკა. შესვენებისას (21.00) — „ძილი ნებისა, პატარებო!" 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „ორნი ქვიშაში". 23.40 — ახალი ამბები.

თბილისი

28 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცის გემო". 10.35 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსახელო უფლისციხელი". 11.00 — კონცერტი. 11.30 — მხატვრული ფილმი „წათესაობა". 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია (სტუდიაში მ. კაჭარავა). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენ მეცხვარეები ვართ!" 14.05 — მასწავლებლის საათი — საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია (სტუდიაში დ. სვანი). 14.35 — მხატვრული ფილმი „გამოძიებით დადგენილია" (მ.). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 — ტელეკურსელთათვის საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (სტუდიაში რ. ენუქაშვილი). 16.45 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კირიში". 17.25 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.35 — მოსწავლეთათვის — „ფესტივალი, ფესტივალი!.. 18.20 — „ჩვენი სტუმრები" — სტუდიაში — ჩეხი ქართველოლოგები. 18.45 — „საბჭოური ცხოვრების წესი" — „მისი ვარსკვლავის ნათელი". 19.10 — განცხადებები. 19.15 — „ცეროდენას ეკრანი". 19.30 — ახალგაზრდობისათვის, „შუქნიშანი". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად. ახალგაზრდობისათვის „მე საქართველო ვიხილე ბამზე". გადაცემა პირველი. შეხვედრა იკაბიელთა თავკაცთან. 21.00 — კინოჟურნალი. 21.10 — საესტრადო პანორამა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „მთვარის მოტაცება". I სერია. 23.40 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.25 — სატელევიზიო დადგმა „ზოგჯერ ბრძენიც ცდება". I ნაწილი. 17.40 — განცხადებები. 17.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ევენკია". 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

თეატრი

28. ნოემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლელა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ას ერგასის დღე; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ევრიდიკე; თბილისის სახელმწიფო დრამატული — საბრალდებო დასკვნა (მე-7 აბონ. I წარმ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ქუთათურთა ფანდები; მინიატიურების სახელმწიფო — ახალ ბინას გილოცავთ; მეტეხის — განდეგილი.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციას და პირს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება გივი დიმიტრის ძე ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო.

გივი ჯავახიშვილის ოჯახი.

რედაქტორი ვ. ბედინეიშვილი.